საქართველოს მთავრობის

დადგენილება №601

2019 წლის 5 დეკემბერი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – კოლხეთის ეროვნული პარკის, კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა და კაცობურის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

მუხლი 1

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტისა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – კოლხეთის ეროვნული პარკის, კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა და კაცობურის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა“.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი გიორგი გახარია

ტექნიკური რეგლამენტი – კოლხეთის ეროვნული პარკის, კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა და კაცობურის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

თავი I

შესავალი

მუხლი 1. მენეჯმენტის გეგმის მიზანი

მენეჯმენტის გეგმის ძირითად მიზანს წარმოადგენს კოლხეთის ეროვნული პარკის, კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა და კაცობურის აღკვეთილის გრძელვადიანი (20-25-წლიანი) მიზნების, მენეჯმენტის გეგმის ძალაში ყოფნის პერიოდში (9 წელი) განსახორციელებელი პროგრამების, მიზნებისა და ინდიკატორების, ქმედებებისა და ღონისძიებების განსაზღვრა, პირველი 3 წლის განმავლობაში განსახორციელებელი კონკრეტული საოპერაციო გეგმის შემუშავება.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

მუხლი 2. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების არეალი

ეს მენეჯმენტის გეგმა, როგორც სამოქმედო და სტრატეგიული დოკუმენტი, შემუშავდა კოლხეთის ეროვნული პარკისთვის, კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა და კაცობურის აღკვეთილისთვის. მენეჯმენტის გეგმა მომზადდა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 მარტის №110 ბრძანების – „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპების და პროცედურების შესახებ“ შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, მენეჯმენტის გეგმა სავალდებულოა ყველა დაცული ტერიტორიისათვის.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

მუხლი 3. დაცული ტერიტორიის მარეგულირებელი და ინსტიტუციონალური ჩარჩო

„კოლხეთის ეროვნული პარკის, კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა და კაცობურის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმას“ სამართლებრივ საფუძვლად დაედო: „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი, „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ“ რამსარის კონვენცია (2007 წლის 30 მარტის საქართველოს პარლამენტის №4606 დადგენილების მიხედვით, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში შესატანად განისაზღვრა კოლხეთის დაცული ტერიტორიების სახმელეთო საზღვრები, რომელთა მდებარეობა და ფართობი განსაზღვრულია „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში, აღნიშნულ საიტს ეწოდება „ცენტრალური კოლხეთის ჭარბტენიანი ტერიტორიები“) და მოქმედი კანონმდებლობა.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

მუხლი 4. კოლხეთის ეროვნული პარკის და კაცობურის აღკვეთილის შექმნის ძირითადი მიზნები

1. კოლხეთის ეროვნული პარკის დაარსების მთავარ მიზნებს წარმოადგენს:

ა) კოლხეთის დაბლობზე არსებული უნიკალური ეკოსისტემებისა და მიგრირებადი და წყალმცურავი ფრინველებისათვის საბინადრო გარემოს (ჰაბიტატების) დაცვა/აღდგენა/მოვლა, /შენარჩუნება.

ბ) ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების მიზნით დაცული ტერიტორიების იმ უბნების დაცვისა და აღდგენის ხელშეწყობა, რომლებიც ერთმანეთისგან გამოირჩევა ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული მახასიათებლებით;

გ) ბუნებრივ-ეკოლოგიური ჰაბიტატების, როგორიცაა სფაგნუმიანი ტორფნარები, შემოგარენი რელიქტური ტყეები, ბუნებრივი ტბები და ტბორები, ფლორისა და ფაუნის რელიქტებისა და ენდემების, ეროვნული და გლობალური წითელი ნუსხის, გადაშენების საფრთხის პირას მყოფი სახეობების გენოფონდის დაცვა, მოვლა, აღდგენა და შენარჩუნება;

დ) კოლხეთის ტორფნარებისათვის დამახასიათებელი უნიკალური ჰიდროლოგიური რეჟიმის დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება;

ე) შავი ზღვის ძუძუმწოვრების კონსერვაცია;

ვ) კოლხეთის ბუნებრივ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ეკოტურიზმის განვითარება;

ზ) სამეცნიერო კვლევების, ბიომრავალფერონების მონიტორინგის წარმოება, ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

თ) ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი პირობის - ბუნებრივი რესურსების მდგრადი სარგებლობის ხელშეწყობა ეკოსისტემის მნიშვნელოვანი ფუნქციების შესანარჩუნებლად.

2. კაცობურის აღკვეთილის შექმნის საკითხი განსაზღვრულია საქართველოს კანონით „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“. კაცობურის აღკვეთილის დაარსების მიზანია კოლხური ტყეების დაცვა, აღდგენა, შენარჩუნება.

მუხლი 5. დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი

მენეჯმენტის გეგმის მომზადების პროცესში მონაწილეობდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“, „კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის“, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერები, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები. 2015 წლის 30 ნოემბერს მომზადდა მენეჯმენტის გეგმის პირველადი ვერსია. 2016 წლის 20 იანვარს მომზადდა მენეჯმენტის გეგმის შუალედური ვერსია. 2016 წლის იანვარში შედგა შეხვედრა კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან მენეჯმენტის გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურების შესახებ. 2016 წლის მარტს შედგა შეხვედრა ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან ძველი მენეჯმენტის გეგმის შემდეგ ადმინისტრაციის მიღწევების, არსებული პრობლემების, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის შესახებ. 2016 წლის მაისში შედგა საერთაშორისო ექსპერტების ვიზიტი კოლხეთში. მომზადდა ანაკლია-ჭურიის, იმნათის და პალიასტომის ტბის ლანდშაფტური ეკოლოგიის მოდელი და კოლხეთის ჭარბტენიანი ეკოსისტემების განვითარებისა და პალიასტომის ტბის გაჯანსაღების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა. 2016 წლის 6 მაისს შედგა შეხვედრა ლანჩხუთის გამგეობაში. შეხვედრაში მონაწილეობდნენ უცხოელი ექსპერტები, ლანჩხუთის რაიონის გამგებელი, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი, ლანჩხუთის სატყეოს უფროსი და სხვა დაინტერესებული პირები. შეხვედრისას გადაწყდა, რომ აუცილებელია იმნათის ტორფნარისათვის

ჰიდროლოგიური ბუფერული ზონების დაარსება, საბჭოთა პერიოდში გაყვანილი ჰიდროლოგიური არხების გაუქმება და მელიორაციის შედეგად დარღვეული ჰაბიტატის აღდგენა, მიმდებარე მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სოციალური პროექტების განხორციელების აუცილებლობა. 2016 წლის ივნისს შედგა გის-ის ექსპერტის შეხვედრა კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრებთან და ზონირებასთან დაკავშირებით. 2016 წლის 17 ივლისს გაიმართა შეხვედრა მენეჯმენტის გეგმის შემუშავებაზე მომუშავე ექსპერტებთან გის-ის და არქეოლოგიის დარგში. მომზადდა კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური უბნების რუკა. 2016 წლის 30 ივლისს შედგა შეხვედრა ხობის, აბაშის, ზუგდიდის, სენაკის, ფოთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, ეროვნული პარკის მიმდებარე მოსახლეობის სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით. 2016 წლის 2 აგვისტოს გაიმართა ექსპერტი სოციოლოგის შეხვედრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წამომადგენლებთან. მოხდა ეროვნულ პარკთან დაკავშირებული მოსახლეობის პრობლემების და მათი გადაჭრის გზების განხილვა. 2016 წელს 13 და 18 აგვისტოს მოეწყო საველე გასვლები ტურიზმის, არქეოლოგიის და გის-ის ექსპერტების მონაწილეობით: 13 სექტემბერს ანაკლიაში მდ. ჭურიაზე, 18 სექტემბერს ფართოწყალზე და მდ. ფიჩორზე ტურისტული ბილიკებისა და ინფრასტრუქტურის დაგეგმვასთან დაკავშირებით. 2016 წლის 19 ოქტომბერს გაიმართა შეხვედრა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ეკოტურიზმთან დაკავშირებით და შემუშავდა მენეჯმენტის გეგმის ტურიზმის ნაწილი. 2016 წლის აგვისტოს მომზადდა და კოლხეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის მეორე სამუშაო ვერსია. 2017 წლის 15 აგვისტოს კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში გაიმართა შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა მენეჯმენტის გეგმასთან დაკავშირებული შენიშვნები და კომენტარები დაცული ტერიტორიების სააგენტოს, მენეჯმენტის გეგმაზე მომუშავე ჯგუფის და კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

2017 წლის 28 დეკემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მოეწყო კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის საჯარო განხილვა, ლანჩხუთის მერიის, ლანჩხუთის საკრებულოს, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმნისტრაციის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციების და ლანჩხუთის მოქალაქეების ჩართულობითა და მონაწილეობით. 2018 წლის 18 სექტემბერს დოკუმენტი ,კოლხეთის ეროვნული პარკის და კაცობურის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის პროექტი სოციალურ ქსელში გავრცელდა საჯარო განხილვისთვის. 2018 წლის 23 ოქტომბერს კოლხეთის ეროვნული პარკის და კაცობურის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

მუხლი 6. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდი

მენეჯმენტის გეგმა ძალაშია მისი დამტკიცებიდან მომდევნო 9 წლის განმავლობაში, გარდა მენეჯმენტის გეგმის 42-ე, 44-ე და 45-ე მუხლებისა და მე-2 და მე-11 დანართებისა, რომლებიც ძალაშია ახალი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებამდე.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის დადგენილება №349 - ვებგვერდი, 15.07.2021 წ.

მუხლი 7. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა და განახლება

1. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს მეექვსე წლის პირველი კვარტლისა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო დაიწყებს ახალი მენეჯმენტის გეგმის მომზადებას, რომელიც მიღებული იქნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

კოლხეთის ეროვნული პარკის, კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა და კაცობურის აღკვეთილის აღწერა

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

მუხლი 8. ადგილმდებარეობა და ფართობი

1. კოლხეთის ეროვნული პარკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობზე. განთავსებულია ფოთის, ხობის, ლანჩხუთის, ზუგდიდისა და სენაკის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე და საქართველოს ორი ისტორიული მხარის, სამეგრელოსა და გურიის ნაწილია.

2. „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ეროვნული პარკის ფართობი შეადგენს 44 387 ჰა-ს, მათ შორის, სახმელეთო ტერიტორიის ფართობია 29229 ჰა, ხოლო მდ. რიონისა და მდ. ჭურიის შესართავებს შორის მდებარე საზღვაო აკვატორიის – 15 158 ჰა.

3. ეროვნული პარკი იყოფა ანაკლია-ჭურიის (მდინარეების – ჭურიისა და ხობისწყალის ხეობების ზღვისპირა მონაკვეთებს შორის), ნაბადასა (მდინარეების – ხობისწყლისა და რიონის ხეობების დასავლეთ მონაკვეთებს შორის) და იმნათის (მდინარეების – რიონისა და სუფსის ხეობების დასავლეთ მონაკვეთებს შორის) ბუნებრივ-გეოგრაფიულ უბნებად. ეს უბნები ერთმანეთისგან გამიჯნულია მდინარეების – ხობისწყლისა და რიონის კალაპოტების ზღვისპირა მონაკვეთებით. გარდა აღნიშნულისა, ეროვნულ პარკში შედის მდ. რიონისა და მდ. ჭურიის შესართავებს შორის მდებარე ზღვის აკვატორია. ზღვის აკვატორია წარმოდგენილია ზღვის ჩრდილოეთ რაიონის აკვატორიისა და ზღვის სამხრეთ რაიონის აკვატორიის სახით. ზღვის სამხრეთ აკვატორიას, თავის მხრივ, კოლხეთის მრავალმხივი გამოყენების ტერიტორია ყოფს ორ უბნად.

4. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორია დაყოფილია 5 უბნად:

ა) ზუგდიდის უბნის ფართობი შეადგენს 893,7ჰა-ს;

ბ) ხობის უბნის ფართობი შეადგენს 8422 ჰა-ს;

გ) კოლხეთის უბნის ფართობი შეადგენს 6906,1 ჰა-ს;

დ) სენაკის უბნის ფართობი შეადგენს 3587,1 ჰა-ს;

ე) ლანჩხუთის უბნის ფართობი შეადგენს 9420,1 ჰა-ს.

5. კაცობურის აღკვეთილი მდებარეობს აბაშის მუნიციპალიტეტში, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე. მისი ჩრდილოეთის საზღვარი გასდევს მდ. რიონის სანაპიროს. დასავლეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით შემოფარგლულია სოფ. კეთილარის მიწებით. აღკვეთილის მთლიანი ფართობი შეადგენს 270, 8 ჰა-ს. იგი რაიონული ცენტრიდან 18 კმ-ითა არის დაშორებული.

6. კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია მოიცავს მდ. რიონისა და მდ. ხობიწყლის შესართავებს შორის მდებარე საზღვაო აკვატორიის ნაწილს, რომელსაც აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრება კოლხეთის ეროვნული პარკის ზღვის აკვატორია. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მთლიანი ფართობი შეადგენს 593 ჰექტარს.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის დადგენილება №552 – ვებგვერდი, 08.12.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

მუხლი 9. კოლხეთის ეროვნული პარკის, კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა და კაცობურის აღკვეთილის შექმნის ისტორია

1. 1947 წელს კოლხეთში დღემდე შემორჩენილი ბუნებრივი ან ნაკლებად სახეცვლილი, ჭარბტენიანი ეკოსისტემის დაცვის მიზნით, პალიასტომის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაარსდა კოლხეთის სახელმწიფო ნაკრძალი, რომლის ფართობი 500 ჰექტარს შეადგენდა და შედიოდა სათაფლია-კოლხეთის კომპლექსურ ნაკრძალში. ტერიტორიის სიმცირის გამო ნაკრძალმა მთლიანად ვერ მოიცვა კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილში შემორჩენილი ბუნებრივი, ან ბუნებრივთან მიახლოებული ჭარბტენიანი ეკოსისტემები, რომელიც ანთროპოგენური ფაქტორის გავლენით ძლიერი დეგრადაციის პირას აღმოჩნდა. 1975 წელს, პალიასტომის ტბა, როგორც უნიკალური წყალსატევი, მისი ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენის მიზნით, მიმდებარე ერთკილომეტრიან სანაპირო ზოლთან ერთად გამოცხადდა აღკვეთილად. 1980 წელს მას მიენიჭა რესპუბლიკური მნიშვნელობის ჰიდროლოგიური აღკვეთილის სტატუსი და აქ აიკრძალა ყოველგვარი სახის თევზჭერა, ფრინველებზე ნადირობა, სანაოსნო მიმოსვლა და ყოველგვარი მშენებლობა სპეციალური ნებართვის გარეშე. 1996 წლის 30 აპრილს საქართველო მიუერთდა რამსარის "საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა ვარგისი ტერიტორიების შესახებ" კონვენციას. 1999 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი "კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ". 1999 წლის 1 იანვარს ზუგდიდის, ხობის, სენაკის, კოლხეთის, აბაშისა და ლანჩხუთის სატყეო მეურნეობების ბაზაზე შეიქმნა კოლხეთის ეროვნული პარკი, რომლის ადმინისტრაციის დაკომპლექტება დაიწყო 2000 წლის ბოლოს.

2. 1962 წლის 31 მარტს №206 და 1963 წლის 25 იანვრის №50 დადგენილებით კაცობურის სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციისათვის აბაშის მუნიციპალიტეტის საკოლმეურნეო მიწების ფონდიდან სამრეწველო თევზის გამრავლების მიზნით გამოიყო 295 ჰა მიწის ფართობი.

1964 წლის 6 ნოემბრის №673 დადგენილებით დაარსდა კაცობურის სამონადირეო მეურნეობა. 1968 წელს განხორციელდა ტერიტორიის სატყეო სამონადირეო მოწყობის სამუშაოები. მომზადდა სამონადირეო მეურნეობის წარმოების პროექტი. ტერიტორია დაიყო 3 კვარტალად, რომლებიც გამიჯნული იყო საკვარტალე ბოძებით და ბუნებრივი საზღვრებით. 1989 წელს, საკავშირო გაერთიანება "ლესპროექტის" ამიერკავკასიის ტყეთმოწყობის საწარმოს მიერ ჩატარდა ტყეთმოწყობის საველე სამუშაოები, 1997 წლიდან საქართველოს კანონის „ცხოველთა სამყაროს შესახებ" თანახმად, არსებული სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის ბაზაზე შეიქმნა კაცობურის აღკვეთილი.

3. 2026 წელს განხორციელდა კოლხეთის ეროვნული პარკის რეკატეგორიზაცია და მდ. რიონისა და მდ. ხობიწყლის შესართავებს შორის მდებარე კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვაო აკვატორიის ნაწილს, „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" საქართველოს კანონში (28/05/26 წ.) განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, მიენიჭა მრავამხრივი გამოყენების ტერიტორიის სტატუსი.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

მუხლი 10. დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე

1. ეროვნული და რეგიონალური მნიშვნელობა.

ა) კოლხეთის ეროვნული პარკი მიეკუთვნება დაცული ტერიტორიების IUCN II კატეგორიას და იგი საქართველოში ამჟამად არსებულ 11 ეროვნული პარკიდან ერთ-ერთია;

ბ) კოლხეთის ეროვნულ პარკი ქობულეთის დაცული ტერიტორიების მსგავსად ხასაითდება ცოცხალი სფაგნუმიანი ტორფნარებით, აქ არის რელიქტური ტყეები. იგი კოლხეთის

დაბლობისათვის ერთადერთ პარკს წარმოადგენს და ამიტომ მას რეგიონისათვის განსაკუთრებული ეკოლოგიური და ეკონომიკური ღირებულება გააჩნია.

2. საერთაშორისო მნიშვნელობა

ა) ეროვნული პარკის ჭარბტენიანი ჰაბიტატები სრულიად აკმაყოფილებს რამსარის კონვენციის მიხედვით საერთაშორისო ღირებულების რამსარ საიტისათვის აუცილებელი სავალდებულო კრიტერიუმებიდან თითქმის ყველა კრიტერიუმს (The Ramsar sites Criteria გვ.1,2).

ეს კრიტერიუმებია:

ჯგუფი A - ს მიხედვით, კოლხეთის ეროვნულ პარკში წარმოდგენილია მსოფლიო უნიკალური სფაგნუმიანი ტორფნარები.

ჯგუფი B - ს (განსაკუთრებული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია) მიხედვით:

ეროვნულ პარკში სახეობების კონსერვაციაზე დაფუძნებული კრიტერიუმებია:

- იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები და მცენარეთა თანასაზოგადოებები;
- მაღალკონსერვაციული ღირებულების მქონე ფლორის სახეობების პოპულაციები;
- მცენარეთა ან/და ცხოველთა ცალკეული სახეობები ჭარბტენიან ჰაბიტატებში (მაგ. ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები) გაივლიან სასიცოცხლო ციკლის მნიშვნელოვან საფეხურს. ხოლო, არახელსაყრელი გარემო პირობების დროს კი ჰაბიტატი კი მათთვის თავშესაფარს წარმოადგენს;

წყლის ფრინველებისათვის განსაკუთრებული კრიტერიუმია:

- ტერიტორია მნიშვნელოვანია წყლის ფრინველის რომელიმე სახეობის 1%-ისთვის (მაგ. ალკუნი, ძელქორი);

სპეციფიკური კრიტერიუმები თევზებისათვის:

- კოლხეთის ჭარბტენიანი ჰაბიტატები საერთაშორისოდ მნიშვნელოვანია ვინაიდან, ისინი უზრუნველყოფენ (განაპირობებენ) იქ მობინადრე თევზების ოჯახების, სახეობების, ქვესახეობების და პოპულაციების ინტერაქტიურობას (ურთიერთობებს), რაც ამ ტერიტორიების სარგებლიანობაში გამოიხატება და გლობალურ დონეზე ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნით განსაკუთრებული ღირებულება გააჩნია.
- ჭარბტენიანი ჰაბიტატები წარმოადგენს წყაროს თევზების საკვებისათვის, ასევე მათ საქვირითე და სამიგრაციო ჰაბიტატებს;

სხვა ტაქსონებზე დამოკიდებული კრიტერიუმი:

- ჰაბიტატები მნიშვნელოვანია ჭარბტენიან ტერიტორიაზე დამოკიდებული არაფრინველი სახეობის 1%-ისთვის (მაგ. წავი).

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გამო, რამსარის „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ“ კონვენციას საქართველო შეუერთდა 1996 წლის 30 აპრილის პარლამენტის დადგენილებით, რომლის მიხედვით, საერთაშორსო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიებად განისაზღვრა ცენტრალური კოლხეთის ჭარბტენიანი ტერიტორიები (ჭურიის, ნაბადის, ფიჩორა-პალიასტომის ტორფნარები, პალიასტომის ტბა და მათი მიმდებარე ტერიტორიები და ზღვის აკვატორია). რამსარის კონვენცია წარმოადგენს მთავრობათაშორის შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს რამსარის კრიტერიუმების შესაბამისი ჭარბტენიანი ჰაბიტატების დაცვას, მდგრად სარგებლობას და ამისთვის საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფას.

ბ) საქართველოს ტორფნარების დაახლოებით 60% მდებარეობს და დაცულია კოლხეთის ეროვნულ პარკში. მეტიც, ყველაზე მნიშვნელოვანი, უნიკალური და იშვიათი, მსოფლიოს უდიდესი და უძველესი იმნათის ტორფნარი, ჰიდროგენეტიკაზე დაყრდნობით მხოლოდ და

მხოლოდ ატმოსფერული ნალექებით მოსაზრდოვე მსოფლიოში არსებული ორი პერკოლაციური ტორფნარიდან (პირველი ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი - ისპანი 2) ერთ - ერთი სწორედ კოლხეთის ეროვნულ პარკში მდებარეობს, რაც ფაქტობრივად ეროვნული პარკის შექმნის მთავარ არგუმენტს წარმოადგენს. ამ უნიკალურობის გამო კოლხეთს განსაკუთრებული ადგილი უკავია მსოფლიო ტორფნარების რუკაზე;

გ) კოლხეთის ეროვნული პარკი 2004 წლიდან პან პარკების ქსელის ოფიციალური წევრია;

დ) 2003 წლიდან პალიასტომის ტბა „ლივინგ ლეიქ“ (Living Lake) სისტემის ოფიციალური წევრია. ტბის დაცულობის მიზანს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, გადაწყვეტილების პროცესში მათი მონაწილეობა და საქართველოს მთელი შავი ზღვის სანაპირო ზონისათვის მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა წარმოადგენს;

ე) კოლხეთის ეროვნული პარკის ჭარბტენიანი ჰაბიტატები (რელიქტური ტყეები, ტორფნარები, ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები, სანაპირო დიუნები) და სახეობები (ოთხფოთოლა მარსილეა, მცირე ლაქაში) კმაყოფილებენ „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიების“ – „ზურმუხტის ქსელია“ კონსერვაციის კრიტერიუმებს:

ე.ა) საიტი უზრუნველყოფს ბერნის კონვენციით დაცული საფრთხის წინაშე მყოფი (მათ შორის მიგრირებადი) სახეობების დაცვასა და გრძელვადიან შენარჩუნებას;

ე.ბ) ტერიტორია მნიშვნელოვანია სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის, მათი გავრცელების არეალის, მრავალფეროვნების და კონკრეტული კონსერვაციული საჭიროებების თვალსაზრისით;

ე.გ) ტერიტორიაზე წარმოდგენილია ჰაბიტატების/სახეობების მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის დონეზე მათ გავრცელებასთან/ ეროვნულ პოპულაციასთან მიმართებაში;

ვ) კოლხეთის სფაგნუმიანი ტორფნარები შემოგარენი რელიქტური ტყეებით სრულიად აკმაყოფილებს UNESCO-ს ძირითად IX და X კრიტერიუმებს (მსოფლიო უნიკალური ცოცხალი ეკოსისტემები, რელიქტების სიუხვე), რაც აუცილებელია მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის ნომინაციისათვის;

ზ) 2015 წლიდან კოლხეთის ეროვნული პარკი გრეიფსვალდის მსოფლიო ტორფნარების სამეცნიერო ცენტრის ოფიციალური წევრია.

მუხლი 11. კლიმატი

კოლხეთში განსაკუთრებული, უნიკალური კლიმატია. საშუალო წლიური ტემპერატურა 14,1 °C- ია. ხასიათდება ნალექების სიუხვით, რომლის საშუალო მაჩვენებელი წელიწადში 1531 მმ-ია, ნალექების 29% ზაფხულშია. მაღალი ფარდობითი ტენიანობაა, რომელიც წლიურად მერყეობს 70% -დან 83% -მდე. ძალზე იშვიათადაა ყინვები. დასავლეთიდან შემოჭრილი წყლის ორთქლით გაჯერებული ჰაერის მასები უხვსა და ხანგრძლივ ნალექებს იძლევა შავი ზღვის სანაპიროზე და მოსაზღვრე მთებზე. წყლის ორთქლით გაჯერებული ჰაერის მასები მთაში იძულებით ასვლასთან ერთად იცვლება, რაც ამლიერებს ნალექების გამოყოფას და ეს მასები ლიხისა და არსიანის ქედების დასავლეთ კალთაზე უხვ ნალექებს ტოვებს. წლის თბილ პერიოდში გამუდმებით ქრის დასავლეთის ქარი ზღვიდან ხმელეთისაკენ, ხოლო ცივ პერიოდში – აღმოსავლეთის ქარი ხმელეთიდან ზღვისაკენ. კავკასიონისა და ლიხის ქედებიდან დაშვების დროს ჰაერი იკუმშება, თბება. ჩვეულებრივ ჰაერი მშრალი და თბილი ქარის სახითაა, რომელსაც ფიონებს უწოდებენ. ზღვის სანაპიროზე უბერავს ბრიზი, რომელიც იცვლის მიმართულებას დღე-ღამის განმავლობაში, დღისით ქარი ქრის ზღვიდან ხმელეთისაკენ, ღამით კი - ხმელეთიდან ზღვისკენ. ზემოთ ჩამოთვლილი გარემო პირობები ხელსაყრელ პირობებს ქმნის კოლხეთის განსაკუთრებული ჰაბიტატებისა და სახეობათა უნიკალური ბიომრავალფეროვნების არსებობისათვის. სწორედ აქ ჩამოყალიბებულმა

კლიმატმა - ნალექების მაქსიმალურმა რაოდენობამ და ამ ნალექების წლის განმავლობაში თვეების მიხედვით თანაბრად განაწილებამ ხელი შეუწყო ატმოსფერული ნალექებით მოსაზრდოვე პერკოლაციური ტორფნარების ჩამოყალიბებას კოლხეთში.

მუხლი 12. გეოლოგია

კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორია მდებარეობს ზღვის დონიდან 0-5 მ-ის სიმაღლეზე და გამოირჩევა თითქმის იდეალურად ბრტყელი, ძალზე სუსტად დანაწევრებული და უმნიშვნელოდ დახრილი ზედაპირით. რელიეფის ძირითად ფორმას ბრტყელი ზღვისპირა ვაკე წარმოადგენს, რომელიც ალაგ-ალაგ მდინარეთა კალაპოტით არის ჩაჭრილი 1-3 მ სიღრმეზე. ზოგიერთ ადგილას, მდინარეთა კალაპოტები ჭარბი აკუმულაციის შედეგად პირიქით, 1-2 მ-ით არის ამაღლებული მიმდებარე ვაკის ზედაპირიდან. უშუალოდ ზღვის სანაპირო ხაზის გასწვრივ, განვითარებულია ქვიშიანი დიუნების ვიწრო (100-300 მ სიგანის) ზოლი, რომელიც საშუალოდ 1,5-2 მ-ით არის ამაღლებული მასთან უშუალოდ მიმდებარე ვაკის ზედაპირიდან. დიუნების ზოლი რელიეფის რელიქტური ფორმაა, რომელიც რადიოკარბონული და არქეოლოგიური მონაცემებით, 5000 - 6000 წლის წინ არის შექმნილი ზღვის ზვირთცემის გავლენით (როცა ზღვის დონე 1-2 მ-ით მაღლა იდგა ამჟამინდელთან შედარებით). ქვიშიანი დიუნებისა და მის მიმდებარე სანაპირო ზოლის ზედაპირზე ხდება ზვირთცემის ენერგიის ჩახშობა. აღნიშნულიდან გამომდინარე ქვიშიანი დიუნა და პლაჟი ტალღების ეროზიული მოქმედებისაგან იცავენ ზღვისპირა ხმელეთს. კოლხეთის დაბლობი, ხანგრძლივი გეოლოგიური დროის განმავლობაში ტექტონიკურ დაძირვას განიცდიდა. დაძირვის კომპენსაცია ხდებოდა დაბლობის მეზობლად აღმართული კავკასიონისა და აჭარა-იმერეთის ქედებიდან მდინარეების მიერ გამოტანილი ნაშალი მასალის აკუმულაციის ხარჯზე. ეროვნული პარკის ტერიტორია მთელ კოლხეთის დაბლობთან ერთად, ამჟამადაც ინტენსიური სედიმენტაციის არეს წარმოადგენს, სადაც მიმდინარეობს სანაპირო-ზღვიური, ჭაობური, მდინარეული და ტბიური სედიმენტების აკუმულაცია. გეოლოგიური გაბურღვების მონაცემების მიხედვით ეროვნული პარკის ტერიტორია ზედაპირიდან 10-14 მ სიღრმემდე აგებულია ალუვიური (ქვიშები, თიხები, ლამი), ჭაობური (ტორფი, ჭაობის თიხები) და სანაპირო ზღვიური გენეზისის (ქვიშები და ლამი) ნალექებით. ზღვისპირა ვაკე ინტენსიურ დაჭაობებას განიცდის, რის გამოც აქ ვრცელი ტორფიანი ჭაობებია განვითარებული. ჭაობების ზედაპირი თითქმის ზღვის დონეზე მდებარეობს და მათში ტორფის ფენები ერთიან ჰორიზონტს ქმნის. ტორფის ჰორიზონტის სისქე 12 მ-ს აღწევს. თითქმის ყველა ზღვისპირა ტორფნარში ტორფის შუა და ქვედა ფენები ზღვის დონეზე დაბლაა დაძირული. რადიოკარბონული და ლითოლოგიური მეთოდების გამოყენებით დადგენილია, რომ კოლხეთის ზღვისპირა ტორფნარებში ტორფის დაგროვება დაიწყო დაახლოებით 6 000 წლის წინ და დღემდე განუწყვეტლივ გრძელდება.

მუხლი 13. ნიადაგები

1. კოლხეთის ეროვნული პარკი:

ა) ყვითელმიწა-ეწერიანი ნიადაგები. ყვითელმიწა-ეწერიანი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია მკვეთრად დიფერენცირებული პროფილი, ინტენსიური გალებება, კონკრეციები მთელ სიღრმეზე, ხშირად კარგად გამოხატული ორტშტეინის ფენის არსებობა. ყვითელმიწა-ეწერიანი ნიადაგები გავრცელებულია ყვითელმიწა-ეწერი ნიადაგების არეალში, უფრო ჩადაბლებულ ადგილას. განვითარების პირობებით ეს ნიადაგები მეტად ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგრამ ყვითელმიწა-ეწერიანი ნიადაგები ყვითელმიწა-ეწერებისგან განსხვავდებიან გრუნტის და ზედაპირული ჩამონადენი წყლებით, მეტი დატენიანებით.

ამჟამად ბუნებრივი მცენარეული საფარი დარღვეულია. ნიადაგები ათვისებულია, ძირითადად, სიმინდითა და სხვა ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.

ბ) ჭაობიანი ნიადაგები ხასიათდება მძლავრი პროფილით, მძიმე მექანიკური შედგენილობით, გალებებით. ჭაობიანი ნიადაგები ძირითადად გავრცელებულია კოლხეთის დაბლობზე. სპორადულად გვხვდება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. კოლხეთის ნიადაგების დაჭაობების ძირითად მიზეზებად ჩვეულებრივ მიიჩნევდნენ: ჭარბ ატმოსფერულ ნალექებს, მიმდებარე ტერიტორიებიდან ნიაღვრებისა და წყალდიდობების შედეგად მოხვედრილ წყლებს და ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე, ნიადაგ-გრუნტოვანი წყლების მოქმედებას. თუმცა დაჭაობების პროცესს მნიშვნელოვნად განაპირობებს ასევე ნიადაგის გრანულომეტრიული შედგენილობა, რაც აფერხებს წყლის ფილტრაციას პროფილში და რელიეფის დადაბლებული პირობები, მისი უმნიშვნელო დახრილობა, რაც დამატებით ზედაპირული წყლის მოხვედრისა და დგომის პირობებს იწვევს. ჭაობიანი ნიადაგები აერთიანებენ ორ ტიპს: მინერალურ-ჭაობიან და ორგანულ-მინერალურ ჭაობიან ნიადაგებს. მინერალურ-ჭაობიანი ნიადაგები იყოფა ორ ქვეტიპად: ლამიან-ჭაობიან და მდელოს ჭაობიან ნიადაგებად. ლამიან-ჭაობიანი ნიადაგები ფორმირდება ტყის მცენარეულობის ქვეშ, ხოლო მდელოს ჭაობიანი ნიადაგები-ნატყეურ მდელოს ცენოზების პირობებში. ორგანულ-მინერალურ ჭაობიანი ნიადაგები იყოფა ორ ქვეტიპად: სუბაქვალური-ჭაობიანი და ტორფიან-ჭაობიანი;

გ) ალუვიური ნიადაგები. ალუვიური ნიადაგებისთვის დამახასიათებელია გენეზისურ ჰორიზონტებზე სუსტი დიფერენციაცია, ცუდი გასტრუქტურება, მომატებული ხირხატიანობა და შრეობრიობა (სტრატიფიკაცია პირველ რიგში მექანიკური შედგენილობის მიხედვით). ალუვიური ნიადაგები გავრცელებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, სხვადასხვა ბუნებრივ ზონაში. საკმაოდ ჭრელია ალუვიონის მასალა, რომელზედაც წარმოიქმნებიან ეს ნიადაგები. ბუნებრივი მცენარეულობა წარმოდგენილია ჭალის მცენარეულობით. ალუვიური ნიადაგები კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გვხვდება შავი ზღვისა და მდინარე რიონის სანაპიროზე. ალუვიური ნიადაგები ხასიათდება განსხვავებული შენებითა და თვისებებით, რაც განპირობებულია იმ აუზების რეჟიმითა და ბუნებით, სადაც ის წარმოიშვა;

დ) ანთროპოგენური ნიადაგები, რომლებიც განიცდიან მძლავრ სამრეწველო გავლენას. მათ დაკარგული აქვთ ბუნებრივი შენება და სულ ცოტა პროფილის ზედა ნაწილი განიცდის ანთროპოგენურ ზეგავლენას. ანთროპოგენური ნიადაგები კოლხეთის ეროვნულ პარკში მცირე რაოდენობით გვხვდება მდინარე რიონის სანაპიროზე. ეს ნიადაგები ხასიათდება მჟავე, ნეიტრალური ან ტუტე რეაქციით, ჰუმუსის მცირე ან საშუალო შემცველობით, შთანთქმის დაბალი ან საშუალო ტევადობით, სხვადასხვა მექანიკური შედგენილობით. ღარიბია ან საშუალოდ უზრუნველყოფილია საერთო აზოტით. არსებობს წყლისმიერი ან ქარისმიერი ეროზიის საშიშროება.

2. კაცობურის აღკვეთილი:

კაცობურის აღკვეთილში გავრცელებულია ალუვიური თიხნარ-ქვიშნარი ნიადაგები. მცირე ფართობებად არის ნეშომპალა თიხნარ-სილნარ ნიადაგები. ალუვიური თიხნარ-ქვიშნარი ნიადაგები ხასიათდება ნაყოფიერების სხვადასხვა ხარისხით განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნებით, ფიზიკური შემადგენლობით და იყოფა შემდეგ ქვეტიპებად: თხელი საშუალო სკელეტური ნიადაგები საშუალო სიღრმის სუსტად სკელეტური ნიადაგები; ღრმა არასკელეტური ნიადაგები. თხელი საშუალო სკელეტური უკარბონატო ნიადაგები წარმოშობილია მდინარე რიონის კალაპოტის შეცვლის შედეგად.Mმისი სიღრმე არ აღემატება 20 სმ. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ღორღს.Mმისი ქვედა ფენა საკმაოდ გამკვრივებულია, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ტყის კულტურების გაშენების დროს. საშუალო სიღრმის სუსტად სკელეტური ნიადაგები თიხნარ-ქვიშნარი შემადგენლობისაა, მისი სიღრმე 40-60 სმ-ში

ცვალებადობს. ფიზიკური და ქიმიური შემადგენლობის გამო შესაძლოა გამოყენებულ იქნას ტყის კულტურების გასაშენებლად. ღრმა სკელეტური ნიადაგების განვითარების სიღრმე აღწევს 80-100 სმ-ს, მექანიკური შემადგენლობით მსუბუქ თიხნარებს წარმოადგენენ, რაც განაპირობებს მათ ვარგისიანობას რელიქტური ტყის ბუნებრივი სახით აღდგენისა და ხელოვნური ტყის გაშენებისათვის.

მუხლი 14. ჰიდროლოგია

1. ჰიდროლიგიასა და ჰიდროლოგიურ რეჟიმს კოლხეთის ეროვნული პარკის ჰაბიტატებისათვის განსაკუთრებული ღირებულება და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ეროვნული პარკის ლანდშაფტის შემადგენელ ყველა ჭარბტენიან ჰაბიტატს ერთიანი ჰიდროლოგიური ქსელი და ჰიდროლოგიური რეჟიმი აერთიანებთ.

ა) მდინარეები. კოლხეთის ეროვნულ პარკში და მიმდებარე ტერიტორიაზე უხვნალექიანი კლიმატის შედეგად, გაედინება შერეული საზრდოობის (თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლების) წყალუხვი მდინარეები, მათ შორის ზოგი ტრანზიტულია (სუფსა, რიონი, ხობისწყალი, ცივი, ტეხური, ენგური), ზოგი კი ადგილობრივი ჭაობებიდან იღებს სათავეს (მალთაყვა, დედაბერა, ცია, ცივა, ჭურია და სხვა). კოლხეთის დაცული ტერიტორიების რეგიონის ზოგიერთი მცირე მდინარეების მაკრომეტრული მაჩვენებელი ასეთია: მდ. ჭურია, რომლის სიგრძე 11,0 კმ-ია და აუზის ფართობი კი - 295,0 კმ^2 უერთდება შავ ზღვას, მდ. ფოჩორი, რომლის სიგრძე 61,0 კმ-ია და აუზის ფართობი კი 406,0 კმ^2 და მდ. თხორინა 16, 0 კმ სიგრძითა და 56, 0 კმ^2 აუზის ფართობით უერთდება პალიასტომის ტბას, მდ. მუნჩია 39.1 კმ სიგრძისა 79,9 კმ^2 აუზის ფართობის მქონე უერთდება მდ. ჭურიას. 11,0 კმ სიგრძისა და 28,9 კმ^2 აუზის ფართობის მქონე მდ. ცია უერთდება მდ. ცივს, ხოლო 33,0კმ სიგრძისა და 254 კმ^2 ფართობის აუზის მქონე მდ. ცივი კი უერთდება მდ. ხობისწყალს. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ გარემოებათა შედეგად (მდინარეთა უკიდურესად დაბალი სიჩქარე, ხშირი უკუდინება ზღვიდან მონაბერი ქარის გამო), კოლხეთის დაბლობის მცირე მდინარეებზე არ ხერხდება ჩამონადენზე გაზომვითი სამუშაოების ჩატარება. ამჟამად კოლხეთის დაცული ტერიტორიების რეგიონიდან ჩამონადენის დრენაჟი ხორციელდება ბუნებრივი, ხელოვნური ან კომბინირებული სადრენაჟე სისტემებიდან. წარსულში აქ შესრულებული სამელიორაციო სამუშაოების შედეგად, ზოგიერთი მდინარის დაკლაკნილი კალაპოტი ხელოვნურად გასწორდა. კოლხეთის ეროვნული პარკის მდინარეებისათვის ზოგადად დამახასიათებელია თხევადი ჩამონადენის ჰიდროლოგიური სეზონურობა, მკვეთრად გამოხატული წყალმცირე პერიოდების უქონლობა, წყალდიდობების მოსალოდნელობა წლის ყველა სეზონზე. პერიოდულად ხდება კატასტროფული წყალდიდობები, განსაკუთრებით მდ. რიონზე. ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ეროვნული პარკისა და მიმდებარე ტერიტორიებზე დიდი წყალდიდობები დაფიქსირდა 1842, 1895, 1922, 1983 და 1987 წლებში. 1987 წლის 31 იანვარს მდ. რიონზე წყალდიდობის დროს 1-3 მ ნიაღვრების ერთიანი ფენით დაიფარა ეროვნული პარკისა და მიმდებარე უბნების დაახლოებით 300 კმ^2 ფართობის ზედაპირი. წყალდიდობამ დაანგრია 1600-ზე მეტი სხვადასხვა დანიშნულების სახლი, გზები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები;

ბ) შავი ზღვის აკვატორია. კოლხეთის ეროვნულ პარკთან მიმდებარე შავი ზღვის სანაპირო აკვატორია მოიცავს შელფს, რომელიც სანაპირო ზოლიდან საშუალოდ 5 საზღვაო მილამდე ვრცელდება. შელფის ზედაპირი შედარებით უმნიშვნელოდ არის დახრილი. მაგალითად, 20 მ სიღრმის ნიშნული სანაპირო ხაზიდან 1300-1400 მ-მდე ვრცელდება. შავ ზღვაზე გაბატონებული ჰაერის მასების ცირკულაცია სანაპირო აკვატორიაში განაპირობებს წყლის დინების ციკლონურ ბრუნვას (საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით).

დინების სიჩქარე საათში საშუალოდ 1 კმ უდრის, ძლიერი ქარების დროს კი 5-6 კმ-მდე აღწევს. საქართველოს საზღვაო აკვატორიაზე გაბატონებულია დასავლეთური რუმბის ქარები და ტალღები, ზამთრობით შეინიშნება ჩრდილო-დასავლეთის ქარის მოქმედებაც. ჭარბობს 1-3 ბალის სიმძლავრის ღელვები. აღინიშნება ძლიერი ღელვებიც. ტალღების მაქსიმალური სიმაღლე 3-6 მ-ის საზღვრებში ცვალებადობს. ძალზედ იშვიათად ტალღის სიმაღლემ შეიძლება 8 მ-ს მიაღწიოს. შავი ზღვის დონის რყევა მოქცევისა და მიქცევის გავლენით 10 სმ არ აღემატება. ღია ზღვაში ზედაპირზე წყლის მარილიანობა 17-18 პრომილს უდრის, დიდ მდინარეთა შესართავებთან 3-9 პრომილის საზღვრებში ცვალებადობს. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საქართველოს საზღვაო აკვატორიაში, კერძოდ, კოლხეთის ეროვნული პარკის სანაპირო აკვატორიაში აღინიშნება ზღვის წყლის დაბინძურების პროცესი ფენოლის, ნავთობპროდუქტების, აზოტის ნაერთებით. კოლხეთის ეროვნული პარკის გეოლოგიისა და ჰიდროგრაფიული ქსელის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია პალიასტომის ტბა და მიმდებარე იმნათის ტორფნარი;

გ) იმნათის ტორფნარში ტორფის აკუმულაციის პროცესი ჩვენს ერამდე, დაახლოებით 6000 წლის წინ დაიწყო. მანამდე კი ის წარმოადგენდა ლაგუნას, რომელიც გამოცალკევებული იყო შავი ზღვისაგან მდ. რიონის დანალექი ქანებით, სადაც თიხისა და ქვიშის სედიმენტებისაგან 3 მ-დან 12 მ-მდე ტორფის ფენები ჩამოყალიბდა. აქ ჩატარებული ტორფის სტრატიგრაფიული ჭრილის მიხედვით იმნათის ტორფნარის ჩამოყალიბებას ორი მთავარი ფაზა უძღოდა წინ.

პირველი ფაზა ესაა „ფენის“, ანუ - ლაგუნადან ჭაობის მცენარეებისაკენ - გარდამავალი პერიოდი. ამ მოვლენას ხელი შეუწყო იმ პერიოდში აქ გავრცელებულმა ლელმა (*Phragmites australis),* რომელიც საკვები ნივთიერებებით მდიდარ გარემოში იზრდებოდა. ტორფის აკუმულაციის პროცესი ემთხვევა ისლის სახეობების - ლაზური ისლი (*Carex lasiocarpa)* და ჩრდილოეთის ისლი (*Molinia litoralis*) ნარჩენების გახრწნის პერიოდს. სწორედ ამ დროს შეინიშნება ხერხას (*Cladium mariscus)* დომინანტობაც, რამაც შემდგომში ტორფნარში ხერხას ტორფის დაგროვება გამოიწვია. „ფენის“ ეს პერიოდი გაგრძელდა 4000 წელი, რაც უკავშირდება რეგიონში მიმდინარე ტექტონურ პროცესებს. მეორე ფაზა გაგრძელდა დაახლოებით 2000 წელს ჩვენს ერამდე, ტორფის დაგროვების პროცესმა გაასწრო ზღვის დონის აწევას. წვიმიანი პერიოდები გაიზარდა, დაიწყო სფაგნუმის გუმბათის ჩამოყალიბება. დომინანტ სახეობებს წარმოადგენდნენ სფაგნუმის სახეობები: აუსტინის, მაგელანის და ტიხრებიანი სფაგნუმი (*Sphagnum austinii, Sph. papillosum, Sph. Magellanicum),* ჩრდილოეთის ისლი (*Molinia litoralis)* და ხერხა (*Cladium mariscus).*

დ) პალიასტომის ტბა. ტბის ფართობი 18.2 კმ^2 შეადგენს. პალიასტომის ტბის წყალშემკრები აუზის ფართობია 547 კმ^2. 1940 წლისათვის პალიასტომის ტბის წყალშემკრები აუზის ფართობი შეადგენდა 450 კმ^2. ფართობი გაზრდილია გასული საუკუნის 50-70-იან წლებში მიმდებარე ტორფნარებში ხელოვნურად გაჭრილი არხების ხარჯზე. ტბის სამხრეთით მომიჯნავე ტერიტორიებზე ტორფის მოპოვების მიზნით ადგილი ჰქონდა მრავალრიცხოვანი კარიერებისა და გამომტანი არხების გათხრას, რის შედეგადაც წარმოიქმნა ვრცელი, 5 კმ^2 ხელოვნური წყალსატევი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ნათხარების“ სახელწოდებით მოიხსენიებს. აღნიშნული წყალსატევი რამდენიმე არხით დაკავშირებულია ტბასთან და დღეისათვის მისთვის ერთგვარ უბეს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, დღეს პალიასტომის ტბის ფართობი 23.2 კმ^2 -ს შეადგენს. ტბის მაქსიმალური სიღრმე 2.6 მ-ია, საშუალო სიღრმე კი 1.3 მ (ნათხარების გამოკლებით). ტბაში ჩაედინება სამი მდინარე შავი ღელე (შავწყალა) - ჩრდილო დასავლეთით, ფიჩორი ჩრდილო-აღმოსავლეთით და თხორინა (მისი შენაკადი გურინკა), სამხრეთით ტბიდან გამოედინება მდ. კაპარჭა. მდ. შავი ღელეს სიგრძე 4 კმ-ია, თუმცა მდ. რიონის წყალმოვარდნების დროს მისი მეშვეობით პალიასტომში აღწევს რიონის

მღვრიე წყლის მასები. წყალმცირობის დროს შავი ღელეს და მისი აუზის კვება ხორციელდება პირიქით - პალიასტომის ხარჯზე. პალიასტომის კვებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მდ. ფიჩორი, რომელიც ქვედა წელში სანაოსნოა, მსგავსად შავი ღელესი, ფიჩორის მეშვეობითაც წყალმოვარდნების დროს პალიასტომში აღწევს მდ. რიონის წყალი. მდ. თხორინა სათავეს იღებს იმნათის ტორფნარში არსებული იმნათის ტბიდან. ტბიდან გაედინება მდ. კაპარჭა, რომელიც ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ფორმირდება. თავდაპირველად, კაპარჭა მიემართება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, შემდეგ უხვევს სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ. მდ. კაპარჭასა და პალიასტომის ტბას შორის ფორმირებულია ქვიშიანი ისარა, რომელიც დღეისათვის დასახლებულია. ადრე, ეს ისარა ორ ადგილზე იყო გარღვეული, საიდანაც კაპარჭაში აღწევდა პალიასტომის დამატებითი წყლები და პირიქით - ამ სრუტეებით ხორციელდებოდა პალიასტომის ტბაში შედარებით მცირე რაოდენობით გამლაშებული წყლების შეღწევა. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ეს ისარა ერთიანია. პალიასტომის ტბის აუზი გეომორფოლოგიური თვალსაზრისით ორი განსხვავებული ნაწილისგან შედგება. ორი მესამედი მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე და ზღვის სანაპიროსთან ახლოს. პალიასტომის ტბის აღმოსავლეთი აუზი აგებულია ალუვიალურ და ალუვიალურ-პროლუვიალურ დანალექ ქანებზე (თიხა, შლამი და სხვა). ერთი მესამედი ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი ესაზღვრება ნიგოითის მთის ძირს და სამხრეთით მის დაბლობზე მდებარეობს. პალიასტომის ტბის ეს სამხრეთი აუზი - ნიგოითის მთის ფერდობის ძირი-აგებულია მესამეული პერიოდის ქვანაშალებისგან, სილიანი თიხისგან, კონგლომერატებისგან და მდინარეთა სხვა დანალექებისაგან. პალიასტომის ტბის აკუმულაციური დაბლობისაგან განსხვავებით ნიგოითის მთის ფერდობები ხასიათდება ეროზიული რელიეფით. ამ მთების ფერდობები მიმართულია კოლხეთის დაბლობისაკენ და გამოყოფილია მდინარეთა ხეობებით. ეროდირებული მიწის ფართობების სიღრმე 10-80 სმ-ია. ეს ფერდობები ზოგან ძალიან დახრილია. ნიგოითის მთათა სისტემას და დაბლობს შორის მრავალი გორაკ - ბორცვია, სხვადასხვა სიმაღლის მაქსიმუმი 500 მ-ია. ეს გორაკ-ბორცვები უკვე მეოთხე ზონად განიხილება პალიასტომის ტბის აუზისათვის, პალიასტომის ტბის ლითოლოგიურმა, პალეონტოლოგიურმა და სხვა ანალიზებმა აჩვენა, რომ ტბა წარმოიქმნა ტბის დანალექებისა (თიხა საპროპელი) და ტორფის მონოლითური ფენებისგან. პალიასტომის ტბა საუკეთესო მაგალითია ერთნაირი ასაკის მქონე სხვადასხვა დანალექი ჰორიზონტებისა. ყველაზე ღრმა და უძველესი ფენა (10-11 მ) ესაა პალიასტომის ტბის ზედა ფენა. ის ფაქტი, რომ ზღვიური წარმოშობის დანალექები განვითარებულია პალიასტომის ტბის მიდამოებში და განლაგებულია ტორფისა და ტბის წარმომქმნელი თიხიანი საპროპელის ჰორიზონტების ფენების ქვეშ, მიანიშნებს იმაზე, რომ პალიასტომის ტბამ შემოგარენ ტორფნარებთან ერთად ჩამოყალიბება 5-6 ათასი წლის წინ ყოფილი ზღვის რელიქტური ლაგუნადან დაიწყო და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. პალიასტომის ტბის დანალექი ქანების ბიოსტრატიგრაფიულმა ჭრილებმა გვიჩვენა, რომ ტბამ ჩამოყალიბების ოთხი ფაზა გაიარა:

დ.ა) 6-8 ათასი წლის წინ პალიასტომის ტბა ზღვის უბეს წარმოადგენდა. რაზეც მეტყველებს ტორფის დანალექ ქანებში არსებული დიატომური წყალმცენარეები, ფორამინაფერები და ზღვის მოლუსკები;

დ.ბ) შემდგომ ეტაპზე ზღვის ლაგუნა გადაიქცა მტკნარწყლიან ტბად, ამის მანიშნებელია თიხიანი საპროპელის ჰორიზონტალურ ფენებში ნაპოვნი მტკნარწყლიანი რელიქტური მაკროგანამარხებული ფლორისა და ფაუნის არსებობა, მაგ., როგორიცაა, წყლის კაკალი;

დ.გ) შემდგომ ეტაპზე პალიასტომის ტბამ მრავალი ცვლილება განიცადა, როგორიცაა ტორფნარების ჩამოყალიბება, მოხდა 2 მ სისქის ფენის ტორფისა და საპროპელის ფენების

ჰორიზონტების დაგროვება. ეს პროცესი დაახლოებით 2700-3500 წლის წინ მოხდა. ამ პერიოდს მეცნიერები „ფანაგორიული რეგრესიის ფაზას“ უწოდებენ;

დ.დ) პრეისტორიულ ეპოქაში დაწყებულმა პალიასტომის ტბის გარშემო დაჭაობების პროცესმა, გადააჭარბა ტბის სტადიას. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ტორფი და ტორფი-საპროპელის ფენები განვითარდნენ ტბის ზედაპირის გასწვრივ და წარმოქმნეს 3 მ სისქის საპროპელნარევი ფენები.

2. კაცობურის აღკვეთილის ტერიტორია იზოლირებულია მდინარე რიონის დინებისაგან და აქ არსებული წყალსატევი (საგუბარი) იკვებება ატმოსფერული ნალექებით. მცენარეული საფარისათვის მნიშვნელოვანია გრუნტის წყლები, რომელთა დონე უახლოვდება მიწის ზედაპირს.

მუხლი 15. ლანდშაფტი

კავკასია მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების 36 ცხელ წერტილს შორისაა. კოლხეთის დაბლობი ფიტოგეოგრაფიულად უძველესი ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონს წარმოადგენს. მესამეული გამყინვარების ეპოქაში კლიმატი ჩრდილო ნახევარსფეროში თბილი და ტენიანი იყო. ლანდშაფტი კი - მდიდარი ტროპიკული და სუბტროპიკული მერქნიანი მცენარეებით შექმნილი. მოგვიანებით, გლობალურმა აციებამ, რომელიც 15 მლნ წლის წინ დაიწყო, კულმინაციას მიაღწია გამყინვარების სახით და მერქნიანმა მცენარეებმაც სამხრეთისაკენ მიგრირება დაიწყეს. მათი უმრავლესობა შემოინახა გარემო პირობების ცვლილებებისგან განსაკუთრებულად დაცულ ადგილას, სადაც შემორჩა თბილი და ტენიანი კლიმატი, ე.წ. რეფუგიუმი. კოლხეთის რეფუგიუმში რელიქტები მეოთხეული პერიოდის ოთხჯერად გამყინვარებას გადაურჩნენ. გამყინვარება კოლხეთში ადგილობრივი მნიშვნელობის იყო. ზოგიერთი მყინვარი ეშვებოდა ველამდე. შემდგომ პერიოდში კი - კლიმატის დათბობის კვალდაკვალ მყინვართა უკან დახევამ გამოიწვია მრავალი მცენარის გავრცელები არეალის ცვლილება. კოლხეთის რეფუგიუმმა შემოინახა რელიქტური სახეობები, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული ევროპაში მრავალი მილიონი წლის წინ და გამყინვარების ეპოქაში გაქრა. აქედან გამომდინარე, კოლხეთის რეფუგიუმი, სადაც კოლხეთის ეროვნული პარკი და კაცობურის აღკვეთილი მდებარეობს, თავშესაფარია ფლორისა და ფაუნის მრავალი კაინოზოური რელიქტური სახეობისათვის, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული ევროპაში მრავალი მილიონი წლის წინ და გამყინვარების ეპოქაში გაქრა.

მუხლი 16. ბიომრავალფეროვნება

1. კოლხეთის ეროვნული პარკი:

ა) ჰაბიტატები. კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ჭარბტენიანი ლანდშაფტი საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიებისაგან განსხვავებით ჰაბიტატებისა და სახეობათა ბიომრავალფეროვნების მხრივ, წარმოადგენს პარადიგმის მაგალითს, რაც ფლორისა და ფაუნის სახეობათა სიმცირით, მაგრამ გლობალურად უნიკალური ჰაბიტატების არსებობაში გამოიხატება. კოლხეთის ეროვნულ პარკში წარმოდგენილია: ცოცხალი პერკოლაციური სფაგნუმიანი ტორფნარები, რელიქტური ტყეები ტორფიანი საფარველით, ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები, სანაპირო დიუნები, ტბები, ჭარბტენიანი მდელოები;

ბ) ცოცხალი სფაგნუმიანი ტორფნარები (სადაც ტორფის დაგროვების პროცესი დღესაც მიმდინარეობს);

გ) კოლხეთის ეროვნულ პარკში საჭიროა განვასხვავოთ ორი ტიპის ტორფნარი:

გ.ა) „ფენის“ (fen) ფენის ტიპის - მინეროტროფული ტიპის ტორფნარი, რომელიც იკვებება ძირითადად მინერალებით მდიდარი გრუნტის წყლებით. ის არ წარმოქმნის გუმბათს. ასეთი ტორფნარებია: ჭურია, ნაბადა და ანაკლია;

გ.ბ) „გუმბათისებრი“ (bog) - ომბროტროფული ტიპის ტორფნარი საზრდოობს მხოლოდ და მხოლოდ წვიმის წყლებით და აქვს გუმბათის ფორმა. ასეთი ტიპის ტორფნარია იმნათი, ფიჩორი და გრიგოლეთი.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ტორფნარებისთვის ჰიდროლოგიური ფაქტორი უმნიშვნელოვანესია, წყალი კი - გადამწყვეტი კომპონენტი, რადგან მხოლოდ წყლის სათანადო მუდმივად მაღალი დონე ქმნის ტორფის აკუმულაციის/ზრდის საშუალებას.

დ) პერკოლაციური (შეღწევადი) ტიპის სფაგნუმიანი ტორფნარი. პერკოლაციურ (ლათინურიდან *percōlāre*, „ფილტრაცია“ ან „ჟონვა“) ფოროვან მასალაში (მაგ., ქანიანი ნიადაგი) სითხეების (წყლის) მოძრაობა და ფილტრაციაა ჰიდროსტატიკული წნევის გავლენით. ასეთი ტორფნარის მახასიათებლებია:

დ. ა) საზრდოობს მხოლოდ ატმოსფერული ნალექებით;

დ. ბ) აქვს ამოზნექილი გუმბათის ფორმა და არ გააჩნია მკაფიო მოხაზულობა;

დ.გ) მცენარეულობა მჟავე გარემოში ვითარდება. ტორფნარისათვის დამახასიათებელია რეოტროფის ეფექტი, რომელიც გულისხმობს მცენარეთა ზრდას წყლის დინების მიმართულებით, რაც განასხვავებს პერკოლაციურ ტორფნარს „ჩვეულებრივი“ ტორფნარებისაგან;

ე) ტორფი თითქმის გაუხრწნელია საკმაოდ დიდ სიღრმეებამდე. უხვი ნალექები და წლის მიხედვით მათი თანაბარი განაწილება განაპირობებს ტორფნარში წყლის მუდმივ მაღალ დონეს. შესაბამისად, მცენარეებიც წყლიან გარემოში იმყოფებიან. წყლის მუდმივი მაღალი დონე ჟანგბადის სიმწირეს იწვევს, ტორფი არ იხრწნება. აქ განლაგებული მცენარეული ნაშთები წარმოქმნიან ფორებს. ფორიანობა კი ტორფნარს ხდის ელასტიკურს, რაც საშუალებას აძლევს ატმოსფერული ნალექების წყალს ვერტიკალურად იდინოს და შეაღწიოს (რაც „პერკოლაციას“ ნიშნავს) მთელი ტორფნარის სიღრმეში;

ვ) კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე პერკოლაციური ტიპის შემდეგი ტორფნარებია: ვ.ა) იმნათის ტორფნარი. ტორფნარი პალიასტომის ტბას ესაზღვრება აღმოსავლეთით ქ. ფოთიდან 5 კმ-ის მანძილზე. იგი ყოფილი ზღვის ლაგუნაზე ჩამოყალიბდა და ყველაზე დიდი სფაგნუმიანი ტორფნარია კოლხეთში. მისი ფართობი 5 000 ჰა-ია, რაც საქართველოს ტორფნარების 11%-ს შეადგენს. იმნათის ტორფნარი კოლხეთის ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაა, რომელიც ერთმანეთისაგან იზოლირებული ორი გუმბათისგან შედგება. დეტალურადაა შესწავლილი მისი ყველაზე დიდი გუმბათი. ტორფნარში ტორფის ფენები 12 მ-ზე ღრმაა. ტროფიკული დონე - ოლიგო მეზოტროფულია. ტორფნარის მჟავე არეა - pH = 4.0. ტორფნარში ტორფი სფაგნუმიანია, დიდი და მაღალი ელასტიკურობის მქონე ფორებით. სწორედ ტორფის მაღალი ელასტიკურობა განაპირობებს იმას, რომ აქ ხრწნა არ მიმდინარეობს. ტორფში უმაღლესი მცენარეების (ხერხა, ჩრდილოეთის ისლი) ფესვები ქმნიან ე.წ. “ჩონჩხს” სფაგნუმისთვის. იქმნება ახალი ელასტიკური ფორები, რაც ქობულეთის დაცული ტერიტორიების - ისპანის ტორფნარების მსგავსად, იმნათის ტორფნარს პერკოლაციურს ხდის. ელასტიკურობა და ხრწნის (ჰუმიკაციის) დაბალი უნარი იწვევს ტორფნარის რხევის სუნთქვით მაღალ უნარს (“Mooratmung”). ტორფნარის ზედაპირი გვალვიან პერიოდში დაბლა იწევს, ხოლო ძლიერი წვიმებისას კი მოცულობაში მატულობს ისე, რომ ტორფსა და ზედაპირულ მცენარეულ საფარს შორის წყლის დონე მუდმივია და არასოდეს იცვლება. იმნათის ტორფნარზე დომინანტობს სფაგნუმის შემდეგი სახეობები: აუსტინის სფაგნუმი (*Sphagnum austinii),* მაგელანის სფაგნუმი (*Sphagnum magellanicum),* ტიხრებიანი სფაგნუმი

(*Sphagnum papillosum),* წითელი სფაგნუმი *(Sphagnum rubellum).* იმნათის ტორფნარი შქერის (*Rhododendron ponticum*) გავრცელების უკიდურესი ჩრდილოეთი ადგილია კოლხეთის დაბლობზე. მისი რამდენიმე ეგზემპლარი გვხვდება იმნათის ტორფნარის ცენტრში ტბასთან ახლოს. იმნათის ტორფნარს განსაკუთრებულს ხდის კალციფილური ხერხას (*Cladium mariscus)* დომინანტობა ტორფნარისათვის დამახასიათებელ მჟავე ომბროტროფულ გარემოში. ჩრდილოეთის ისლის დომინანტობა და მისი დიდი ზომები ერთი მხრივ, ხელს უწყობს სფაგნუმიან ტორფნარზე აორთქლებას (ევაპოტრასპირაციას) და მეორე მხრივ იმას, რომ გვალვიან პერიოდში ტორფნარში წყალის დაკარგვას ადგილი არ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ადგილი ექნებოდა ტორფის გახრწნას, ფორების გაქრობასა და ტორფნარის ელასტიკურობის რღვევას;

ვ.ბ) ფიჩორის ტორფნარი. ფიჩორის ტორფნარი იმნათის ტორფნარის ჩრდილოეთით მდ. ფიჩორის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. მხოლოდ ამ ტორფნარზე ხარობს კოლხეთის ენდემი: ტორფის ოქროწკეპლა (*Solidago turfosa);*

ვ.გ) გრიგოლეთის ტორფნარი. გრიგოლეთის ტორფნარი მდებარეობს კოლხეთის ეროვნული პარკის გურიის ნაწილში. გრიგოლეთის ტორფნარი ე.წ. „ჩანასახოვანი“ პერკოლაციური ტიპის ტორფნარს წარმოადგენს;

ზ) პერკოლაციური ტიპის ტორფნარები ზურმუხტის ქსელით და ევროკავშირის ბუნების საინფორმაციო სისტემის (EUNIS) პოტენციურ დაცულ ჰაბიტატებს წარმოადგენენ;

თ) გრუნტის წყლებით მოსაზრდოვე „ფენის“ ტიპის მინეროტროფული, ტორფნარები

თ.ა) ჭურიის ტორფნარი. ჭურიის ტორფნარი მდებარეობს ქ. ფოთიდან ჩრდილოეთით, 10 კილომეტრის მანძილზე, ყულევის ტერმინალის ჩრდილოეთით და მდ. ხობისწყალის მარცხენა სანაპიროზე. ჭურიის ტორფნარი არის მინეროტროფული სფაგნუმიანი ტორფნარი, სადაც ისლის სახეობების: ჩრდილოეთის ისლის (*Molinia littoralis),* ლაზური ისლის (*Carex lasiocarpa)* მიერ შექმნილი კოლბოხებია. აქ, კოლბოხებთან ახლოს, ალაგ-ალაგ იზრდება ჭაობის ჯადვარი (*Epipactis palustris),* ჩაღანდრი (*Veronica becca-bunga),* ლიკოპუსი *(Lycopus europaeus)* და ინვაზიური ჰიდროკოტილე *(Hydrocotyle vulgaris).* ტორფნარის ცენტრალურ ნაწილში განვითარებულია მეზოტროფული მცენარეული თანასაზოგადოება და ტიხრებიანი სფაგნუმის (*Sphagnum papillosum)* მიერ შექმნილი გუმბათი. გუმბათზე იზრდება: წყლის სამყურა *(Menyanthes trifoliata),* მრგვალფოთოლა დროზერა *(Drosera rotundifolia)* და ჩრდილოეთის ისლი *(Molinia littoralis);*

თ.ბ) ანაკლიის ტორფნარი. ანაკლიის მინეროტროფული ტორფნარი ჭურიის ტორფნარის ჩრდილოეთით, მდ. ჭურიის შესართავთან მდებარეობს. ტორფნარზე გაბატონებულია ისლის (*Carex rostrata*) მიერ შექმნილი კოლბოხები. ანაკლიის ტორფნარის მიმდებარე ჭარბტენიან ტორფნარ ჰაბიტატში ხარობს მხოლოდ ფლორის გლობალური წითელი ნუსხის სახეობა - კოსტელეტსკია (*Kosteletzkya pentacarpos)*;

თ.გ) ნაბადას ტორფნარი. ტორფნარი მდებარეობს ყულევის ტერმინალის სამხრეთით. აქ ხარობს ჭაობის ჯადვარი *(Epipactis palustris).* სფაგნუმიან ტორფნარებზე იზრდება გლობალური წითელი ნუსხის 8 სახეობა: კოსტელეტსკია (*Kosteletzkya pentacarpos),* სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis*), ჯადვარი (*Spiranthes sinensis (amoena*), თეთრი რინქოსპორა (*Rhynchospora alba),* ხერხა *(Cladium mariscus),* წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata)*, ჭაობის ჯადვარი *(Epipactis palustris),* მედვედევის რამფიკარპა (*Rhamphicarpa medwedewii).* ინვაზიური სახეობებიდან სფაგნუმიან ტორფნარებზე დაფიქსირებულია შემდეგი სახეობები: *Hydrocotyle vulgaris, Hypericum mutilum, Polygonum thunbergii;*

ი) **რელიქტური ტყეები.** კოლხეთის ეროვნულ პარკში რელიქტური კოლხური ტორფნარი ტყეები გარს აკრავს სფაგნუმიან ტორფნარებს. ტყეებში წარმოდგენილია გლობალური

წითელი ნუსხის მერქნიანი სახეობები: ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia*), კოლხური ბზა (*Buxus colchica),* ბროწეული (*Punica granatum),* ლეღვი *(Ficus carica),* კავკასიის წითელი ნუსხისა და საქართველოს წითელი ნუსხის სახეობები: ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia*), კოლხური ბზა (*Buxus colchica),* კოლხური მუხა *(Quercus hartwissiana*). ტყეები ძირითადად შემდეგი მერქნიანი სახეობებითაა წარმოგენილი: მურყანი (თხმელა), ნეკერჩხალი (*Acer orthocampestre*), იფანი (*Fraxinus excelsior),* რცხილა (*Carpinus betulus).* ქვეტყეში იზრდება: კოლხური ჭყორი *(Ilex colchica),* თაგვისარა (*Ruscus ponticus).* ლიანებიდან გვხვდება: ეკალღიჯი (*Smilax excelsa),* კოლხური სურო (*Hedera colchica),* ღვედკეცი (*Periploca graeca),* ცხრატყავა (*Lonicera caprifolia),* სვია *(Humulus lupulus*) და სხვა;

კ) **ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები.** ბოლო წლებში, ანთროპოგენური ფაქტორის გამო მტკნარწყლიანი ტბორების, როგორც ბიომრავალფეროვნებისათვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატის დეგრადაციამ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნების მეცნიერები მიიყვანა დასკვნამდე, რომ მტკნარწყლიანი ტბორები გლობალური წითელი ნუსხის (IUCN Red List) მიერ შეფასებულიყო, როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი ეკოსისტემები (www.iucnredlist.org). 2015 წელს მსოფლიო წითელმა ნუსხამ ხმელთაშუა ზღვისპირეთის მტკნარწყლიან ტბორებს (მოიცავს კოლხეთის დაბლობსაც) ოფიციალურად მიანიჭა გლობალური მოწყვლადი (VU) სტატუსი. ეს შეფასება განხილულია ორ შრომაში: „აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის მტკნარწყლიანი ჰაბიტატების ბიომრავალფეროვნების გლობალური სტატუსი“ და „ხმელთაშუაზღვისპირეთის ცხელი წერტილების მტკნარწყლიანი ჰაბიტატების ბიომრავალფეროვნება“. მტკნარწყლიანი ტბორების ფლორის ინდიკატორი სახეობებია: წყლის კაკალი (*Trapa colchica*), წყლის გვიმრა სალვინია (*Salvinia natans*,). ბუშტოსანა (*Utricularia vulgaris).* ასეთი მცირე ზომის მტკნარწყლიანი ტბორები გვხვდება ანაკლიაში და იმნათის ტორფნარის მიმდებარედ;

ლ) სანაპირო ქვიშიანი დიუნები. ფლორისტული კომპლექსი კოლხეთის შავი ზღვის სანაპირო დიუნური მცენარეებისა ტიპიური ფსამოფიტებია (ქვიშაზე დასახლებულები), როგორიცაა: ზღვის ნარი (*Eryngium maritimum)*, რძიანა (*Euphorbia peplis*), ლეიმუსი *(Leymus racemosus* subsp. *sabulosus)*, ამოფილა (*Ammophila arenaria);*

მ) ბუნებრივი ტბები. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე რამდენიმე ტბაა: პალიასტომი, იმნათის ტორფნარზე არსებული ორი ტბა - იმნათისა და უსახელო ტბა, ფართოწყალი ნაბადაზე. მათ შორის, ყველაზე დიდი ზომისაა პალიასტომის ტბა. პალიასტომის ტბა იშვიათად იყინება, ტბა მთლიანად მხოლოდ 2008 წელს გაიყინა.

პალიასტომის ტბა, ზღვასთან სიახლოვის გამო მნიშვნელოვანი ჰაბიტატია წყალმცურავი და მიგრირებადი ფრინველებისათვის, როგორც აფრიკიდან ევრაზიის ზომიერი ზონისკენ და უკან - სამშობლოში დასაბრუნებელი გზა;

წარსულში კოლხეთის ტენიანი კლიმატიდან გამომდინარე, პალიასტომი პოზიტიურ წყლის ბალანსს ქმნიდა და მტკნარწყლიანი იყო. ამის მიზეზი კი მდ. კაპარჭინა იყო, რომელიც ასაზრდოებდა მას ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან და მოედინებოდა დასავლეთიდან პარალელურად, იგი იცავდა ზღვის მარილიანი წყლის შემოდინებისაგან ტბას და სწორედ ამიტომ იყო მუდამ მტკნარწყლიანი პალიასტომის ტბა. ტბა მდიდარი იყო მტკნარწყლიანი პლანქტონით, ზოოპლანქტონით და ბენთოსური ორგანიზმებით. ეს ყველაფერი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა იქტიოფაუნის მრავალფეროვნებისათვის. პალიასტომის ტბა და შემოგარენი წყლები 40 სახეობის მტკნარწყლიანი თევზის არსებობისათვის რეფუგიუმს წარმოადგენდა.

ნ) ჭარბტენიანი მდელოები. სფაგნუმიან ტორფნარებსა და ტყეების განაპირას ჭარბტენიანი მდელოებია. მდელოებზე გაბატონებულ სახეობებს წარმოადგენს: ჭილი (*Juncus acutus),* ლელი (*Phragmites communis*), ლაქაში (*Typha angustifolia)*, ჭაობის ზამბახი (*Iris pseudocorus),* შხაპრი (*Sparganium neglectum);*

2. კაცობურის აღკვეთილი:

ა) ტყეები:

ა.ა) რელიქტური კოლხური ტყე **პ**ატარა ფრაგმენტების სახითაა, სადაც იზრდება გლობალური წითელი ნუსხის სახეობები: ლაფანი *(Pterocarya fraxinifolia),* ლეღვი *(Ficus carica).* მრავლადაა მურყანი (*Alnus glutinosa* subsp*. barbata);*

ა.ბ) ხელოვნურად გაშენებული ინვაზიური მერქნიანი სახეობები, სადაც დომინანტ სახეობებს წარმოადგენს: გლედიჩია *(Gleditsia triacanthus*) და ამორფა *(Amorpha fruticosa);*

ბ) ხელოვნური ტბა, რომელიც სათევზმეურნეო ტბორს წარმოადგენდა და დღეს თავისი ფუნქცია დაკარგული აქვს.

გ) მეორადი მდელოები, სადაც ისლის სახეობები იზრდება და საძოვრებადაა გამოყენებული.

3. ზურმუხტის ქსელის და ევროკავშირის ბუნების საინფორმაციო სისტემის ჰაბიტატები: კოლხეთის ეროვნული პარკის ჰაბიტატები, პერკოლაციური და ,,ფენის“ ტიპის სფაგნუმიანი ტორფნარები, რელიქტური კოლხური ტყეები, ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები და სანაპირო ქვიშიანი დიუნები ზურმუხტის ქსელის და ევროკავშირის ბუნების საინფორმაციო სისტემის პოტენციურ ჰაბიტატებს წარმოადგენს.

4. ბერნის კონვენციით და გლობალური წითელი ნუსხით დაცული ჰაბიტატები და სახეობები: კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ბერნის კონვენციით გლობალური წითელი ნუსხით დაცულ ჰაბიტატს წარმოადგენს ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები. ამ ჰაბიტატში ხარობს ბერნის კონვენციით დაცული სამი სახეობა: ოთხფოთოლა მარსილეა *(Marsilea quadrifolia),* სალვინია *(Salvini natans)* და მცირე ლაქაში *(Typha minima).*

5. ფლორა:

ა) კოლხეთის ეროვნული პარკის ფლორა 324 სახეობითაა წარმოდგენილი, რომელთაგან 24 სახეობა გლობალური წითელი ნუსხითაა დაცული: მათ შორის მერქნიანი სახეობებია: ხეები: ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia),* კოლხური ბზა (*Buxus colchica),* ბუჩქები: ბროწეული (*Punica granatum),* ლეღვი (*Ficus carica),* გვიმრებიდან: სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis)*, ჭაობის თელიპტერისი *(Thelipteris palustris),* სალვინია (*Salvinia natans),* ოთხფოთოლა მარსილეა *(Marsilea quadrifolia)*; ბალახოვნებიდან: თეთრი რინქოსპორა (*Rhynchospora alba),* ჯადვარი (*Spiranthes amoena),* ჭაობის ჯადვარი *(Epipactis palustris),* კოსტელეტსკია (*Kosteletzkya pentacarpos),* პონტოს ტუხტი *(Hibiscus ponticus),* კოლხური წყლის კაკალი *(Trapa colchica),* მალეევის წყლის კაკალი (*Trapa maleevi*), მედვედების რამფიკარპა *(Rhamphicarpa medwedewii),* კოლხური დუმფარა (*Nymphaea colchica),* ღიმის ორი სახეობა (*Ceratophyllum demersum, Ceratophyllum submersum),* წყლის ვაზი *(Potamogeton natans),* ხერხა *(Cladium mariscus)*, ბუშტოსანა (*Utricularia vulgaris)*, წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata),* მრგვალფოთოლა დროზერა (ცვრიანა) *(Drosera rotundifolia).* გლობალური სტატუსის მქონეა სფაგნუმის ორი სახეობა: აუსტინის სფაგნუმი (*Sphagnum austinii)* და ჭაობის სფაგნუმი *(Sphagnum palustre).* კავკასიის და საქართველოს წითელი ნუსხის სახეობაა: კოლხური მუხა (*Quercus hartwissiana),* შიშველი თელადუმა *(Ulmus glabra),* ძელქვა (*Zelkova carpinifolia*). უნდა აღინიშნოს, რომ ძელქვის, რამდენიმე ეგზემპლარი გვხვდება მხოლოდ იმნათის ტორფნარის სამხრეთ-დასავლეთით მიმდებარე ტყეებში;

ბ) კოლხეთის სფაგნუმიანი ტორფნარების ფლორა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი - ხავსისნაირები: 5 ოჯახი, 7 გვარი და 15 სახეობა; გვიმრანაირები: 4 ოჯახი, 4 გვარი და 5 სახეობა; ფარულთესლოვნები: ორლებნიანები წარმოდგენილია 23 ოჯახით, 44 გვარით და 71 სახეობით; ერთლებნიანები 4 ოჯახით, 46 გვარითა და 81 სახეობით. სულ: 38 ოჯახი, 114 გვარი, 175 სახეობა. აქედან: „ფიჩორას“ ტორფნარზე აღრიცხულია 45 სახეობის მცენარე, მათგან 4

სახეობის სფაგნუმი, 11 მერქნიანი და 26 სახეობის ბალახოვანი მცენარე, მათ შორის 9 რელიქტური, 2 ენდემური და 4 გლობალური სტატუსის მქონე სახეობა.

გ) გრიგოლეთის ტორფნარზე აღრიცხულია 55 სახეობის მერქნიანი და ბალახოვანი სახეობა, მათ შორის 6 სახეობის სფაგნუმი, 7 რელიქტური და 3 გლობალური სტატუსის მქონე სახეობა;

დ) ტყეების ფლორა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: ხავსისნაირები - 2 ოჯახი, 5 გვარითა და 6 სახეობით; ხეები - 10 ოჯახით, 13 გვარითა და 16 სახეობით; ბუჩქები- 6 ოჯახით, 7 გვარითა და 7 სახეობით; ლიანები - 8 ოჯახით, 8 გვარითა და 12 სახეობით; ბალახეულობა - 25 ოჯახით, 79 გვარითა და 113 სახეობით, მარცვლოვნები- 6 ოჯახით, 46 გვარითა და 66 სახეობით. სულ რელიქტური ტყის ფლორა მოიცავს: 57 ოჯახს, 158 გვარსა და 220 სახეობას. აქ იზრდება გლობალური სტატუსის მქონე 4 სახეობა: ლეღვი (*Ficus carica),* ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia),* ბროწეული (*Punica granatum),* კოლხური ბზა (*Buxus colchica*). კავკასიის წითელი ნუსხის სახეობები: კოლხური მუხა *(Quercus hartwissiana),* შიშველი თელადუმა (*Ulmus glabra),* ძელქვა (*Zelkova carpinifolia*);

ე) კოლხეთის ეროვნული პარკის მტკნარწყლიანი ტბორების ფლორა წარმოდგენილია 21 ოჯახით, 33 გვარითა და 50 სახეობით. აქ ხარობს გლობალური წითელი ნუსხის 7 სახეობა: კოლხური წყლის კაკალი (*Trapa colchica),* სალვინია (*Salvinia natans)*, ბუშტოსანა (*Utricularia vulgaris)*, ღიმი (*Ceratophyllum demersum)*, ღიმი (*Ceratphyllum submersum),* წყლის ვაზი (*Potamogeton natans);*

ვ) ჭურიის სანაპირო დიუნაზე აღნუსხულია 120 სახეობის მცენარე. მათგან საფრთხის ქვეშ მყოფი და კოლხეთის ფლორის ისტორიის ანალიზის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი სახეობებია: ზღვისპირეთის ოთანთუსი (*Otanthus maritimus),* ევქსინის კაკილე (*Cakile mirima* subsp. *euxina*), სპარსული ხვართქლა (*Convolvulus persicus),* ციმბირული არგუზია (*Tournefortia* (*Argusia) sibirica*), მაწაქი (*Imperata cylindica*), სატაცური (*Asparagus litoralis)*, ზღვისპირეთის ფოლიო (*Scabiosa litoralis*), ზღვისპირა იონჯა (*Medicago maritime),* ზღვისპირა კრამბე (*Crambe maritime)*, ყაყაჩურა (*Glaucium flaum*), ლეიმუსი (*Leymus racemosus* subsp. *subulosus);*

ზ) პალიასტომის ტბაში აღწერილია ფიტოპლანქტონის 203 სახეობის და ქვესახეობის წყალმცენარე. აქედან: დიატომეების 105 სახეობა, 49 სახეობის მწვანე წყალმცენარე, ლურჯმწვანე მცანარეების 21 სახეობა, პიროფიტოვნების 15 სახეობა, 11 სახეობის ევგლენასნაირები, 1 სახეობა ოქროსფერი წყალმცენარისა. ჰალოფიტური (სიმლაშისადმი დამოკიდებულების) წყალმცენარეების სახეობრივი შემადგენლობა შემდეგია: პოლიჰალინირი სახეობების 51 სახეობა, მეზოჰალინური - 28 სახეობა და 115 ოლიგოჰალინური სახეობებისა.

თ) საქართველოს წითელი ნუსხის მცენარეებიდან კოლხეთის ეროვნულ პარკსა და კაცობურის აღკვეთილში გავრცელებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები: კოლხური მუხა *(Quercus hartwissiana Stev.),* შიშველი თელადუმა *(Ulmus glabra Hunds.)*, ძელქვა *(Zelkova carpinifolia)* და კოლხური ბზა *(Buxus colchica);*

ი) ფლორის ენდემური სახეობებიდან კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ტერიტორიაზე იზრდება 4 ენდემური სახეობა, მათ შორის: კოლხეთის ენდემი კოლხური ბზა *(Buxus colchica),* კავკასიის ენდემი - კავკასიის რინქოსპორა *(Rhynchospora caucasica),* კოლხური დუმფარა *(Nymphaea colchica),* ტორფნარის ოქროწკეპლა *(Solidago turfosa);*

კ) ფლორის რელიქტური სახეობებიდან რელიქტურია სფაგნუმიანი ტორფნარები და აქ გავრცელებული ფლორის სახეობები: მრგვალფოთოლა დროზერა (*Drosera rotundifolia),* ჩრდილოეთის ისლი (*Molinia litoralis),* თეთრი რინქოსპორა (*Rhynchospora alba),* სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis),* წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata),* მანანა ჩვეულებრივი (*Calluna vulgarus),* ხერხა (*Cladium mariscus),* იმბრიკატუმის სფაგნუმი (*Sphagnum imbricatum),* ტიხრებიანი სფაგნუმი (*Sphagnum papillosum),* წითელი სფაგნუმი (*Sphagnum rubellum),* მაგელანის სფაგნუმი

(Sphagnum magellanicum), ჭაობის სფაგნუმი (*Sphagnum palustre),* ჯადვარი (*Spiranthes amoena),* პონტოს შქერი (*Rhododendron ponticum),* იელი (*Rhododendron luteum),* მოცვი (*Vaccinium arctostaphyllus),* ისლი (*Carex lasiocarpa);*

ლ) გლობალური წითელი ნუსხის სახეობებიდან კოლხეთის ეროვნული პარკის ჰაბიტატებში გავრცელებულია გლობალური წითელი ნუსხის 24 სახეობა, მათ შორის: სფაგნუმიან ტორფნარებზე იზრდება 8 სახეობის მცენარე: კოსტელეტსკია (*Kosteletzkya pentacarpos* (*Hibiscus pentacarpos),* სამეფო გვიმრა *(Osmunda regalis),* ჯადვარი (*Spiranthes sinensis (amoena*), თეთრი რინხოსპორა (*Rhynchospora alba),* ჭაობის ჯადვარი (*Epipactis palustris),* ხერხა (*Cladium mariscus),* წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata,* მედევედევის რამფიკარპა *(Rhamphicarpa medwedewii).*

რელიქტურ კოლხურ ტყეებში იზრდება 4 სახეობის მერქნიანი მცენარე: ლეღვი (*Ficus carica),* ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia),* ბროწეული (*Punica granatum),* კოლხური ბზა (*Buxus colchica).*

ბუნებრივ მტკნარწყლიან ტბორებში იზრდება 8 სახეობის მცენარე: წყლის კაკალი (*Trapa natans),* კოლხური წყლის კაკალი (*Trapa colchica),* წყლის გვიმრა (*Salvinia natans),* ოთხფოთოლა მარსილეა (*Marsilea quadrifolia),* ბუშტოსანა (*Utricularia vulgaris),* ღიმის ორი სახეობა (*Ceratophyllum demersum, Ceratophyllum submersum),* წყლის ვაზი *(Potamogeton natans).*

დაცულობის გლობალური სტატუსი აქვს მინიჭებული კოლხეთის ტორფნარებზე გაბატონებული სფაგნუმის ორ სახეობას: აუსტინის სფაგნუმს (*Sphagnum austinii),* რომელიც ევროპაში გამქრალია და ჭაობის სფაგნუმს (*Sphagnum palustre).* კოლხეთი ამ სახეობების გავრცელების უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონს წარმოადგენს.

6. ფაუნა: კოლხეთის ეროვნული პარკი, ფლორის იშვიათ სახეობებთან ერთად, ველური ფაუნის მთელი რიგი სახეობებისათვის უმნიშვნელოვანესი თავშესაფარია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული პარკის და მასთან მიმდებარე ტერიტორიების გარეულ ცხოველთა სამყარო შედარებით ღარიბია. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ბინადრობს ძუძუმწოვრების 35 სახეობა. მტაცებლების რიგიდან ეროვნულ პარკში და მასთან მიმდებარე ტერიტორიაზე აღრიცხულია 8 სახეობა. ყურადღებას იპყრობს წავი, რომელიც ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენით ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გადაშენების პირას აღმოჩნდა. ეს სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი. ერთადერთ მრავალრიცხოვან სახეობას წარმოადგენს ტურა. ვეშაპისნაირთა რიგიდან ეროვნული პარკთან მიმდებარე ზღვის აკვატორიას საბინადროდ იყენებს აფალინა, თეთრგვერდა დელფინი და ზღვის ღორი. წყვილჩლიქოსნების რიგიდან ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ბინადრობს შველი.

ა) წვრილი ძუძუმწოვრებიდან არსებული მონაცემებით დღეისათვის ეროვნულ პარკში 16 ენდემური წვრილი ძუძუმწოვარი ბინადრობს, მათგან აღსანიშნავია: აღმოსავლეთ ევროპული ზღარბი (*Erinaceus concolor),* კავკასიური თხუნელა *(Talpa caucasica*), მცირე ტყის თაგვი (*Sylvamus uralensis),* კავკასიური ტყის თაგვი (*Sylvaemus fulvipectus).* მწერიჭამიების რიგიდან ეროვნული პარკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია კავკასიური თხუნელა (*Talpa caucasica),* გრძელკუდა კბილთეთრა (*Crocidura russula)* და რადეს ბიგა *(Sorex raddei).* რადეს ბიგა გადაშენების პირას მყოფი სახეობაა და საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი. ეს სახეობა აღწერილია ეროვნული პარკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ეროვნული პარკის დანარჩენ უბნებზე მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ასევე გასარკვევია ამ ცხოველის ბინადრობის ადგილის ეკოლოგიური პირობები, რაც სათანადო გამოკვლევას მოითხოვს. ხელფრთიანების რიგიდან გლობალური სტატუსითაა დაცული ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აღრიცხული მეჰელის ცხვირნალა *(Rhynolophus mehelyi),* გრძელყურა მღამიობი (*Myotis bechsteinii).* გვხვდება ასევე გრძელფრთიანი ღამურა და მცირე მეღამურა, რომლებიც იშვიათ სახეობებს განეკუთვნებიან.

კოლხეთის ეროვნული პარკი, როგორც რამსარის კონვენციით დაცული ჭარბტენიანი ჰაბიტატები, მდიდარია წყალმცურავი, მობუდარი, მოზამთრე და მიგრირებადი სახეობებით;
ბ) პალიასტომის ტბასა და მის მიმდებარედ ისვენებს, ბუდობს და ბინადრობს 275 სახეობის ფრინველი. ბოლო წლების კვლევების მიხედვით კოლხეთის ეროვნულ პარკში აღრიცხულია 54 სახეობის წყალმცურავი და 63 სახეობის მობუდარი ფრინველი. მათ შორის გლობალური სტატუსით მოწყვლადია 5 სახეობა: მცირე თეთრშუბლა ბატი (*Anser erythropus),* წითელთავა ყვინთია *(Aythya ferina),* გარიელი *(Melanitta fusca),* ხმელთაშუაზღვისპირული ქარიშხალა *(Puffinus yelkouan),* ქოჩორა ვარხვი *(Pelecanus crispus);* 46 სახეობა კი საჭიროებს ზრუნვას. საქართველოს მასშტაბით მოწყვლადია ორი სახეობა: წითელი იხვი *(Tadorna ferruginea),* ვარდისფერი ვარხვი *(Pelecanus onocrotalus),* საფრთხის ქვეშ მყოფია 3 სახეობა: მცირე თეთრშუბლა ბატი (*Anser erythropus),* გარიელი *(Melanitta fusca),* ქოჩორა ვარხვი *(Pelecanus crispus).* რაც შეეხება ზღვის სანაპირო ზოლს, აქ ძირითად სახეობას დიდი კოკონა (*Podiceps cristatus*), გარეული იხვი (*Anas platyrhynchos*), დიდი ჩვამა (*Phalacrocorax carbo*) და ტბის თოლია (*Croicocepalus ridibundus*) წარმოადგენს. აღნიშნული სახეობები ასევე შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში;
გ) კოლხეთის ეროვნული პარკის ჭარბტენიან ჰაბიტატებში 2014 წლის ილის უნივერსიტეტის კვლევების მიხედვით, იზამთრებს 40 სხვადასხვა სახეობის 368 000 ინდივიდი ფრინველი. მათ შორის, რამდენიმე ინდივიდი იქნა აღრიცხული ვარდისფერი ვარხვი (*Pelecanus onocrotalus)* და 50-100 ინდივიდი გლობალურად მოწყვლადი ქოჩორა (ხუჭუჭა) ვარხვი *(Pelecanus crispus).* ასევე 20-30 ინდივიდი გლობალური წითელი ნუსხის საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობა - თეთრთავა იხვი *(Oxyura leucocephala)* და დაახლოებით 10 ინდივიდი საფრთხის ქვეშ მყოფი ბატი (*Anser erythropus).* ეს ტერიტორია მნიშვნელოვანია პან-ევროპული სახეობებისათვის, მაგ., როგორიცაა: დიდი კოკონა (*Podiceps cristatus);*
დ) კაცობურის აღკვეთილში აღრიცხულია მობუდარი ფრინველების 27 სახეობა.
7. ქვეწარმავლები. საქართველოში დღევანდელი მონაცემებით აღრიცხული 26 სახეობის გველიდან კოლხეთის ეროვნული პარკის და კაცობურის აღკვეთილის ტერიტორიაზე გავრცელებულია 4 სახეობა: ესკულაპის მცურავი (*Elaphe longissima*), ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix*), წყლის ანკარა (*Natrix tessellata*), სპილენძა (*Coronella austriaca).* საქართველოში გავრცელებული 27 სახეობის ხვლიკიდან კოლხეთის ეროვნული პარკის და კაცობურის აღკვეთილის ტერიტორიაზე გავრცელებული არის 5 სახეობა. გველხოკერა (*Pseudopus apodus*), ბოხმეჭა (*Anguis colchica),* მარდი ხვლიკი (*Lacerta agilis*), ართვინის ხვლიკი (*Darevskia derjugini*), ზოლიანი ხვლიკი (*Lacerta strigata*). საქართველოს ტერიტორიაზე კუს 3 სახეობაა აღწერილი, ამ სამი სახეობიდან კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია ერთი სახეობა: ჭაობის კუ (*Emys orbicularis*) საერთაშორისო წითელ ნუსხაში მინიჭებული აქვს - დაბალი რისკი. ეროვნულ წითელ ნუსხაში კი - საფრთხე არ ემუქრება.
8. ამფიბები. საქართველოს ტერიტორიაზე აღწერილია ამფიბების 12 სახეობა, აქედან კოლხეთის ეროვნული პარკის და კაცობურის აღკვეთილის ტერიტორიაზე გხვდება 5 სახეობა. ჩვეულებრივი ვასაკა (*Hyla orientalis*), მწვანე გომბეშო (*Bufo viridis*), ტბორის ბაყაყი (*Rana macronemi*), ჩვეულებრივი ტრიტონი (*Lissotriton vulgaris*), მცირეაზიური ტრიტონი (*Ommatotriton ophryticus*).
9. იქტიოფაუნა. ეროვნული პარკის მდინარეები, პალიასტომის ტბა და მიმდებარე ზღვის აკვატორია იქტიოფაუნის სახეობათა საკმაო რაოდენობით გამოირჩევა. აქ აღრიცხულია ხრტილოვანი თევზების 7 სახეობა და ძვლოვანი თევზების 81 სახეობა. მათ შორის 44 სახეობა შავი ზღვის მობინადრეა, 21 სახეობა - მტკნარი წყლის, ხოლო 23 სახეობა - გამსვლელი თევზია. ძვლოვანი თევზებიდან აღსანიშნავია შავი ზღვის ორაგული (*Salmo fario (truta),* ქაშაყი (*Alosa*

caspia paleostomi), ლობანი (*Mugil cephalus),* ოქროსფერი კეფალი (*Mugil auratus),* ფარგა (*Stizostedion lucioperca)* და სხვა. ხრტილოვანი თევზებიდან აღსანიშნავია ატლანტური ზუთხი (*Acipinse sturio*).

მსოფლიო მასშტაბით მოწყვლადია თევზების 6 სახეობა: სვია (*Huso huso*), ფორონჯი (ატლანტური ზუთხი) (*Acipinse sturio),* ტარაღანა (*Acipinse stellatus),* რუსული ზუთხი *(Acipenser gueldenstaedti)*, სპარსული ზუთხი (*Acipenser persicus),* შავი ზღვის ორაგული *(Salmo truta labrax Pallas).*

10. უხერხემლოები. პალიასტომის ტბის, მდინარეებსა და ზღვის სანაპიროზე გამოვლენილია ნემსიყლაპიების 26 სახეობა, მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანია 2 სახეობა: *Crocothemis erytrea* და *Otrhetrum albistylum.* საქართველოს წითელი ნუსხის სახეობას მიეკუთვნება *Erythromma linden*. საქართველოს ენდემური და ძალიან იშვიათი სახეობაა - *Calopteryx mingrelica,* რომელიც ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდ. ფიჩორის ნაპირებზე გვხვდება. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ხეშეშფრთიანების-ხოჭოების (*Coleptera*) რიგის მრავალი სახეობაა გავრცელებული და ისინი თითქმის ყველა ჰაბიტატში ბინადრობენ, ესენია: ფუნაგორიები, ცხვირგრძელა ხოჭოები, ბზუალა ხოჭოები, ცილაჭამიები, პეწიანები, ჭიამაიები, ციცინათელები, მალულჭამიები, შავტანები, სტაფილინიდები, ტკაცუნები, ტყავიჭამიები, ხარაბუზები, ირემახოჭოები, ბუგრები, ღრაჭები, ბრინჯაოლები, ფოთოლხვევიები და სხვ. მათი უმრავლესობა ტყის მავნებლები არიან. საქართველოში აღწერილი ჭიანჭველას 142 სახეობიდან კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე 17 სახეობაა გავრცელებული.

11. პეპლები. კოლხეთის ეროვნული პარკის ქერცლფრთიანების შესახებ არსებული მასალები ძალიან მწირია. აღსანიშნავია, რომ სახეობრივი მრავალფეროვნებით ყველაზე მრავალრიცხოვანია მზომელების ოჯახი (*Geometridae*), რომელიც 62 სახეობითაა წარმოდგენილი. დღის პეპლები მრავალფეროვან სპექტრს ქმნიან კოლხეთში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთეული სახეობებით არიან წარმოდგენილნი. აქ გვხვდება შემდეგი ოჯახების წარმომადგენლები: მსხვითავების (*Hesperidae*) 4 სახეობა, თეთრულების (*Pieridae*) 8 სახეობა, ხავერდულების (*Satyridae*) 3 სახეობა, სადაფების (*Nympalidae*) 8 სახეობა, ცისფერების (*Lycaenidae*) 8 სახეობა, აფროსნების (*Papilionidae*) 2 სახეობა. გვხვდება ასევე: წმინდად მახვიარები (*Hepialidae*), დატალღული ფარშავანგთვალები (*Brahmaeidae*), სფინქსები (*Sphingidae*), ქოჩორები (*Notodontidae*). კოლხეთის ეროვნულ პარკში ისეთი პეპლებიცაა გავრცელებული, რომლებიც დღისითაც აქტიურები არიან და ღამითაც, მაგალითად, დათუნელების (*Arctiidae*) ოჯახის 2 სახეობა. იშვიათი, რელიქტური და ენდემური სახეობების ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი, თუმცა მათ შორის სავარაუდოდ შესაძლებელია შემდეგი სახეობები შეგვხვდეს: შამილის წმინდადმახვიარა (*Phasus schamyl*), ლედერერის (კოლხური) ბრამეა (*Brahmea ledereri*), დაწინწკლული დათუნელა (*Utetheisa pulchella*), მღვიმის ამიერკავკასიური დათუნელა (*Axiopoena maura*), ოლეანდრის სფინქსი (*Deilephila nerii*), პოდარილი (*Iphiclides podarilius*), კავკასიური ზერინთია (*Allancastria caucasica*), არიონი (*Maculinea arion*) და სხვ. სამეგრელოს ტურფა (*Calopteryx mingrelica* Selys) მოწყვლადია საქართველოს მასშტაბით, შამილის წმინდადმახვიარა *(Phasus schamyl)* - მესამეული პერიოდის რელიქტი და კავკასიის იშვიათი ენდემია. ის საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი, როგორც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN) პეპელა. ლედერერის (კოლხური) ბრამეა (*Brahmea ledereri*) - მესამეული პერიოდის რელიქტი და კოლხეთის ენდემია, იგი ასევე საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი, როგორც გადაშენებული სახეობის (RE) სტატუსის მქონე. კოლხეთის დაბლობზე ბინადრობს იშვიათი სახეობა კოლხური დაწინწკლული დათუნელა (*Utetheisa pulchella*). კავკასია ამ სახეობის გავრცელების ჩრდილოეთ საზღვარს წარმოადგენს.

12. კოლხეთის ეროვნული პარკის ჭარბტენიან ჰაბიტატებში წარმოდგენილია 8 ოჯახის, 24 გვარის 28 სახეობით ობობასნაირები. ობობასნაირთა ენდემური ფორმებიდან აღსანიშნავია მეგრული მორიელი *(Euscapius mingrelicus).* ეროვნული პარკის ეკოსისტემებში მობინადრე ამფიბიებსა და ფრინველებში აღრიცხულია პარაზიტული უმარტივესების 26 სახეობა. ამფიბიებში, ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში დადგენილია ბრტყელი ჭიების 76 სახეობა. ამფიბიებში, ქვეწარმავლებში, ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში აღრიცხულია ცესტოდების 44 სახეობა. კოლხეთის პარკის ტერიტორიის ნიადაგებში (ყულევი: მურყნარი და ტყისპირა მდელო) აღრიცხულია ფიტო და თავისუფლად მცხოვრები ნემატოდების 24 ფორმა, რომელთაგან სახეობამდე გარკვეულია 7 სახეობა. გარდა თავისუფლად მცხოვრები ნემატოდებისა კოლხეთის ეროვნული პარკის ბინადარ ამფიბიებში აღრიცხულია პარაზიტული ნემატოდების 7 სახეობა. რეპტილიებში რეგისტრირებულია ნემატოდების 11 სახეობა, წყლისა და ხმელეთის რგოლიანი ჭიების 21 სახეობა, წყლის 6 და ხმელეთის მოლუსკების 22 სახეობა, აღრიცხულია ორიბატიდების 73 სახეობა. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აღრიცხულია ჯავშნიანი ტკიპების 143 სახეობა. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული უმაღლესი კიბოსნაირებიდან აღსანიშნავია კოლხური ფართოფეხა კიბო (*Astacus colchicus*), რომელიც ძალიან იშვიათი სახეობაა და საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი. შიდა წყალსაცავებში რეგისტრირებულია დატოტვილულვაშიანი კიბოსნაირების (*Cladocera)* 42 სახეობა. კოლხეთის ეროვნული პარკში აღწერილია ნიჩაბფეხიანი *(Copepoda)* კიბოსნაირების 13 სახეობა. კოლხეთის ეროვნულ პარკში რეგისტრირებულია ცრუმორიელების მხოლოდ ერთი სახეობა. პალიასტომის ზოოპლანქტონში ფიქსირდება 33 ფორმა, მათგან: ციბრუტელების - 13 სახეობა, ნიჩაბფეხიანების - 5 სახეობა, ულვაშტოტიანების - 8 სახეობა, ნაწლავღრუიანების - 1 სახეობა. პალიასტომის ტბის ბენთოფაუნა შედგება 3 ძირითადი კომპონენტისაგან: პონტო-კასპიური რელიქტები, შავი ზღვის ფორმები და მტკნარი წყლის ფორმები, რომლებსაც სიმლაშის ატანა შეუძლიათ. ბენთოსში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი მუცელფეხიანი და ორსაგდულიანი მოლუსკები, რომლებსაც ტბაში ფაქტიურად არ ჰყავთ მომხმარებელი. მოლუსკები 27 სახეობითაა წარმოდგენილი. ინვაზიური სახეობებიდან უნდა აღინიშნოს 1932 წელს კოლხეთში ინტროდუცირებული ნუტრია (*Myocastor coypus).* სხვა უცხო სახეობებიდან აღსანიშნავია თევზი გამბუზია (*Gambusia alfinus),* რომელიც ინტროდუცირებული იქნა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამით.

13. გლობალური წითელი ნუსხის სახეობები:

ა) ზღვის ძუძუმწოვრების სახეობებიდან მსოფლიო მასშტაბით მოწყვლადია ზღვის ღორი (*Phocoena phocoena),* საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობაა აფალინა (*Tursiops truncates Montagu*).

ბ) გლობალური სტატუსით მოწყვლადი სახეობებია: წავი *(Lutra lutra)* და მეჰელის ცხვირნალა *(Rhinolophus mehelyi).*

გ) ფრინველები. მსოფლიო მასშტაბით გლობალურად მოწყვლადია 6 სახეობის ფრინველი: დიდი მყივანი არწივი (*Aquila clanga),* ბექობის არწივი (*Aquila heliaca),* თეთრთვალა იხვი (*Oxyura leucocephala),* მარმარილოსებრი იხვი (*Marmaronetta angustirostris Menetries),* პატარა ღერღეტი (*Anser erythropus),* ქოჩორა ვარხვი (*Pelecanus crispus).* გლობალური სტატუსით მოწყვლადია 5 სახეობა: მცირე თეთრშუბლა ბატი (*Anser erythropus),* წითელთავა ყვინთია *(Aythya ferina),* გარიელი *(Melanitta fusca),* ხმელთაშუაზღვისპირული ქარიშხალა *(Puffinus yelkouan),* ქოჩორა ვარხვი *(Pelecanus crispus);* ხოლო 46 სახეობა კი - საჭიროებს ზრუნვას.

დ) ხელფრთიანების რიგიდან გლობალური სტატუსითაა დაცული ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აღრიცხული მეჰელის ცხვირნალა *(Rhynolophus nehelyi),* გრძელყურა მღამიობი (*Myotis bechsteinii).*

ე) ამფიბიებიდან ჭარბტენიან მდელოებზე არსებულ მცირე ზომის ტბორებში ბინადრობს: ჩვეულებრივი ტრიტონი *(Lissotriton vulgaris)*, მცირეაზიური ტრიტონი (*Ommatotriton vitatus).*
ვ) გლობალური სტატუსისაა მწერიჭამიების რიგიდან რადეს ბიგა *(Sorex raddei).*
ზ) მსოფლიო მასშტაბით მოწყვლადია თევზების 5 სახეობა: სვია (*Huso huso*), ფორონჯი (ატლანტური ზუთხი) (*Acipinser sturio)*, ტარაღანა (*Acipinser stellatus),* რუსული ზუთხი *(Acipenser gueldenstaedti)*, სპარსული ზუთხი (*Acipenser persicus),* შავი ზღვის ორაგული *(Salmo truta labrax Pallas).*
14. საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების ფრინველებიდან საქართველოს მასშტაბით მოწყვლადია ორი სახეობა: წითელი იხვი *(Tadorna ferruginea),* ვარდისფერი ვარხვი *(Pelecanus onocrotalus),* საფრთხის ქვეშ მყოფია 3 სახეობა: მცირე თეთრშუბლა ბატი (*Anser erythropus),* გარიელი *(Melanitta fusca),* ქოჩორა ვარხვი *(Pelecanus crispus).* რაც შეეხება ზღვის სანაპირო ზოლს, აქ ძირითადი სახეობებია: დიდი კოკონა (*Podiceps cristatus*), გარეული იხვი (*Anas platyrhynchos*), დიდი ჩვამა (*Phalacrocorax carbo*), ტბის თოლია (*Croicocepalus ridibundus*), გარიელი *(Melanitta fusca),* მურტალა *(Podiceps grisegaena),* ვარდისფერი ვარხვი *(Pelecanus onocrotalus),* ლაკლაკი *(Ciconia ciconia),* ყარყატი *(Ciconia nigra),* წითელი იხვი *(Tadorna ferruginea),* რუხი წერო *(Grus grus),* ფასკუნჯი (*Neophron percnopterus).*
15. კაცობურის აღკვეთილში აღრიცხულია 51 სახეობის მცენარე, მათ შორის ერთი საქართველოს და გლობალური წითელი ნუსხის სახეობა: ლაფანი (*Pterocarya fraxiniifolia).* აღკვეთილში დღეისათვის ძირითადად ინვაზიური მერქნიანი სახეობები ბატონობენ, როგორიცაა: გლედიჩია (*Gleditsia tracanthus)* და ამორფა (*Amorpha fruticosa).* მობუდარი და გადამფრენი ფრინველების 203 სახეობა, 29 სახეობის ძუძუმწოვარი, ამფიბიების ოთხი და ქვეწარმავლების ხუთი სახეობაა.

მუხლი 17. დაცული ტერიტორიის მიწათსარგებლობა

კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის საზღვრებს შიგნით არსებული მიწა სახელმწიფო საკუთრებაა. კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ტერიტორიებზე მიწათსარგებლობის ფორმები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. ტრადიციული საქმიანობა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი სარგებლობა

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული გამოკვლევებით, უძველესი მოსახლეობა ეროვნულ პარკსა და მის მიმდებარე ტერიტორიას ძირითადად საქონლის საძოვრებად, თევზჭერისა და ნადირობის მიზნით იყენებდა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ტერიტორიების უდიდესი ნაწილი შუა საუკუნეებში ეკუთვნოდა ეკლესიას ან საერო ფეოდალებს. აღნიშნულ ტერიტორიაზე ნადირობა და თევზაობა ნაწილობრივ შეზღუდული იყო და გარკვეულ წესებს ექვემდებარებოდა. არსებული დოკუმენტაციის მიხედვით მდინარეების - ჭურიისა და ცივას შორის მდებარე ჭარბტენიანი მიწების დიდი ნაწილი ეკუთვნოდა ხობის მონასტერს, რომელიც საკმაოდ მკაცრად ზღუდავდა ამ ტერიტორიებზე ნადირობასა და თევზჭერას. ასევე გარკვეულ წესს ექვემდებარებოდა თევზჭერა, კერძოდ, მაისის დასაწყისიდან, როცა ზუთხი ქვირითის დასაყრელად ზღვიდან მდინარეებში შესვლას იწყებდა, მასზე თევზაობა გარკვეული დროის მანძილზე იკრძალებოდა. შავ ზღვაში, პალიასტომის ტბაში თევზჭერა ძირითადად საჭიროების მიხედვით ხდებოდა. თევზჭერა ექვემდებარებოდა სეზონურ რეგულირებას. თევზს არ იჭერდნენ ტოფობისას. ხალხური სათევზაო საშუალებანი შედარებით დამზოგავი იყო (ფაცერი, ხელბადე, ანკესი, ხელაობა და სხვა). ნადირობა ატარებდა სეზონურ ხასიათს. ნადირობის ერთ-ერთი ძირითადი

ფორმა იყო ბაზიეროზა, ანუ გაწვრთნილი მტაცებელი ფრინველებით ნადირობა. გურიაში დღემდე შემორჩენილია მიმინოს გაწვრთნის წესი. ნადირობა წარმოებდა ბუნების დამზოგავი დამხმარე საშუალებებით (ბადე, მახე, კაკანათი და სხვა). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ველური მცენარეების (წყავი, ქაცვი, უსურვაზი და სხვ.) საკარმიდამო ნაკვეთებზე გადმორგვა-გაკულტურების ტრადიცია, რომელიც დღემდე შემორჩა. ტექნიკური კულტურებიდან ეროვნული პარკის ტერიტორიაზე განსაკუთრებული ადგილი ეჭირა კოლხურ სელს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კოლხეთი ძველად განთქმული იყო მაღალხარისხოვანი სელის ქსოვილების დამზადებით. ასევე უნდა აღინიშნოს ჩრდილოეთის ისლი *(Molinia litoralis).* ამ მცენარის კონებად შეკრული ღეროები გამოიყენებოდა საყოფაცხოვრებო ნაგებობათა გადასახურავად. ასეთი სახურავი 20 წელიწადზე მეტ ხანს ძლებდა. ეროვნულ პარკთან მიმდებარე ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია ძირძველი ტრადიციული ჩვევები.

მუხლი 19. დაცული ტერიტორიის ისტორიულ-კულტურული ღირებულება

1. არქეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, კოლხეთის დაბლობი მიმდებარე გორაკ-ბორცვიან ზოლთან ერთად, ადამიანის მიერ უკვე ათვისებული იყო ახალი ქვის ხანაში (ნეოლითში). ძვ.წ.აღ. III ათასწლეულში კოლხეთში და, კერძოდ, მის დასავლეთ ნაწილში შექმნილი იყო მაღალგანვითარებული ცივილიზაცია, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის - კოლხების სახელთან იყო დაკავშირებული. ამ ცივილიზაციის შესახებ მოგვითხრობენ ძველი ბერძნული და ქართული მითები არგონავტების და პრომეთეს შესახებ. არქეოლოგიური გამოკვლევები მოწმობენ, რომ კოლხეთის დაბლობზე მდინარეების სანაპიროები მეტნაკლებად იყო დასახლებული ბრინჯაოს ხანაში და მომდევნო ეპოქებში. კერძოდ, მდ. რიონის ორივე ნაპირის გასწვრივ სოფ. ჭალადიდთან შესწავლილია ძველი ნამოსახლარები - ზურგა და სიმაგრე, რომელთა მიხედვითაც ამ ტერიტორიებზე ადამიანს განუწყვეტლივ უცხოვრია ძვ.წ.აღ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ფეოდალური ეპოქის ჩათვლით. კოლხეთის ეროვნულ პარკში და მასთან უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიაზე გვიანი ბრინჯაოსა და ანტიკური პერიოდის რამდენიმე ნამოსახლარია აღმოჩენილი, რომლებიც დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი. ეს ძეგლები განლაგებულია მდინარეების რიონსა და ფიჩორას შორის მდებარე ტერიტორიაზე. მათ შორის აღსანიშნავია: გულიკარის ნაოხვამუ, ნამარნუს ნაოხვამუ, სირიაჭყონის ნაოხვამუ, საგვიჩიოს ზურგანიში, საჯოლიოს ნაღმიპიჯი, ნედართუ და სხვა. მდ. ხობისწყლის შესართავის რაიონში აღმოჩენილია ყულევის გვიანი ანტიკური ხანის ნამოსახლარი, რომელიც დეტალურად იქნა შესწავლილი ყულევის ტერმინალის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოების პროცესში. მდ. ჭურიის შესართავთან აღმოჩენილია ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულის ჭურიის ტორფქვეშა ნამოსახლარი.

2. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მრავალი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია:

ა) იმნათის უბანი. ”ნამარნუს“ ნამოსახლარი - ადგილმდებარეობა ნამარნუში (ელინისტური ხანა, ბრინჯაოს ხანა-ადრეფეოდალური პერიოდი); „ნადართუს“ ნამოსახლარი - ადგილმდებარეობა „ნადართუსთან“ (ადრე ანტიკური ხანა); „ნანდუს“ ნამოსახლარი, ადგილმდებარეობა ნანდუსთან (გვიან ბრინჯაოდან ელინისტურ ხანამდე); „მალთაყვის“ ნამოსახლარი, მალთაყვაში პალიასტომის ნაპირზე (ადრე შუასაუკუნეები);

ბ) ნაბადას უბანი. ყულევის ნამოსახლარი, მდ. ცივის შესართავიდან 1,5 კმ-ზე (გვიანი ანტიკური ხანა);

გ) ანაკლია-ჭურიის უბანი. „ჭურიის“ ნამოსახლარები, ჭურიის შესართავთან და ჭურიის შესართავიდან 2 კმ. დაშორებით (ძვ. წ. III ათასწლეული და I ათასწლეულის I ნახ.).

3. კოლხეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის III-I ათასწლეულებით დათარიღებული, ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, ათეულობით არქეოლოგიური ძეგლია. მცირე ნაწილი შესწავლილია და მსოფლიოს სამეცნიერო წრეებისათვის უკვე კარგადაა ცნობილი (ანაკლიის ნამოსახლარი ბორცვები, ე.წ. დიხა-გუძუბა, ერგეტის სამაროვნები და ნამოსახლარები, ონწყოშიას ტორფქვეშა ნამოსახლარი ზუგდიდის რაიონში, ანტიკური ხანის დასახლება „სიმაგრე“ სოფ. საქორქიოში, ყულევის ნაქალაქარი და სამოსახლოები ხობის რაიონში, პალიასტომის წყალქვეშა დასახლება და სხვ.). უმეტესი მათგანი ამჟამად ხშირი ტყითა და მცენარეული საფარითაა დაფარული ან სასოფლო-სამეურნეო სავარგულადაა გამოყენებული.

მუხლი 20. ეკოტურისტული და რეკრეაციული ღირებულება

1. ტერიტორიის ტურისტულ და რეკრეაციულ პოტენციალს განსაზღვრავს მიმზიდველი ბუნებრივი გარემო: მდინარეები, ველური ბუნება და ზღვის ლანდშაფტები, ტორფნარები, გადამფრენი ფრინველები, მდიდარი ისტორიული და კულტურული ღირებულებები.
2. განსაკუთრებულ ტურისტულ ობიექტს წარმოადგენს პალიასტომის ტბა. ვიზიტორებს საშუალება აქვთ დატკბნენ კოლხეთის ეროვნული პარკის ჭარბტენიანი ლანდშაფტის მაღალი ეკოლოგიური და ესთეტიკური ღირებულებით, ასევე გააცნობიერონ, თუ რაოდენ ღირებულია ეს ობიექტი.
3. კოლხეთის ეროვნულ პარკს, როგორც ევრაზია-აფრიკის გასაყარზე ფრინველთა მიგრაციის მნიშვნელოვან რამსარ საიტს, გააჩნია უდიდესი პოტენციალი ორნითოლოგების, ფრინველებზე დაკვირვების (ე.წ. Birdwatcher-ების) და თევზაობის მოყვარულთათვის. ასევე დაცულ ტერიტორიას აქვს მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის განვითარების პოტენციალი: სანაოსნო, სათევზაო (სამოყვარულო თევზჭერა), ფრინველებზე დაკვირვება, კულტურულ-ისტორიული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და სოფლის ტურიზმი.
4. ტერიტორიაზე შენარჩუნებულია ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა.
5. ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის გამდიდრებას ხელს უწყობს მეორე რამსარ საიტთან - ქობულეთის დაცულ ტერიტორიებთან და მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლთან - „ნოქალაქევთან“ სიახლოვე. ასევე, აღსანიშნავია აჭარის და სამეგრელოს რეგიონების დაცული ტერიტორიების და დიდ ქალაქებთან (ანაკლია, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, სენაკი) სიახლოვე.

მუხლი 21. ეროვნული პარკის მნიშვნელობა მეცნიერებისა და განათლებისათვის

პირველი მეცნიერული კვლევები კოლხეთის ტორფნარებზე ბოტანიკური და გეოლოგიური მიმართულებით ფლეროვისა და დოქტუროვსკის მიერ 1929 და 1936 წელს განხორციელდა. კოლხეთის ეროვნული პარკის ჭარბტენიანი ჰაბიტატები სამეცნიერო კვლევების უშრეტ წყაროს წარმოადგენს. განსაკუთრებულია დაინტერესება რამსარის კონვენციის, ,,ვეთლენდს ინტერნაციონალის“ (Wetlands International), მსოფლიო ტორფნარების კონსერვაციის საერთაშორისო ჯგუფის (IMCG), მსოფლიო ტორფნარების საზოგადოების (IPS) და კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის წარმომადგენლებისათვის. მსოფლიო უნიკალური ჰიდროლოგიური რეჟიმის მქონე პერკოლაციური ტიპის ტორფნარები მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევის ობიექტია ჰიდროლოგებისათვის. კოლხეთის რეფუგიუმი - კაინოზოური (რელიქტური) ფლორისა და ფაუნის თავშესაფარი - განსაკუთრებულ სამეცნიერო ადგილს წარმოადგენს ზოოლოგიური და ბოტანიკური კვლევებისათვის. კოლხეთის პერკოლაციური ტორფნარები მნიშვნელოვან სამეცნიერო კვლევის ობიექტს წარმოადგენს პალინოლოგების,

კლიმატოლოგების, არქეოლოგების, გეოლოგებისა დ ისტორიკოსებისათვის. როგორც მნიშვნელოვანი ჭარბტენიანი ჰაბიტატი მიგრირებადი, მობუდარი, წყალმცურავი და გადამფრენი ფრინველებისათვის, საინტერესო ადგილია ორნითოლოგიური კვლევებისათვის. კოლხეთის ტორფნარებისათვის დამახასიათებელი გაუხრწნელი ტორფი და სფაგნუმის სახეობები სამეცნიერო კვლევების ობიექტს წარმოადგენს ფარმაციისა და მედიცინის სხვადასხვა სფეროს მეცნიერებისათვის. რელიქტური ტყეები ფიტოპათოლოგიური და ენტომოლოგიური კვლევების საწარმოებლად მნიშვნელოვანი ობიექტია.

მუხლი 22. ეკოგანათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

კოლხეთის ეროვნულ პარკს, როგორც რამსარის კონვენციით დაცულ და მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის პოტენციური უბანს, თავისი განუმეორებელი, მსოფლიო უნიკალური სფაგნუმიანი ტორფნარების, ზურმუხტის ქსელის ჰაბიტატების, მტკნარწყლიანი ტბორების, გლობალური სტატუსის მქონე სახეობების არსებობის გამო, განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობების და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. კოლხეთის ეროვნული პარკი უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა (კანონმდებლობით დადგენილი წესების ფარგლებში) ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი დაწესებულებებისთვის ეკოლოგიის, ლანდშაფტების, ჭარბტენიანი ეკოსისტემების ადგილზე შესწავლისა და საველე კვლევების განხორციელებისთვის წლის ნებისმიერ დროს. კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის უნიკალური ღირებულებისა და მისი სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება და სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ხელს უწყობს ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოს შორის ჰარმონიულ თანაარსებობის ჩამოყალიბებას.

მუხლი 23. სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დასახლებები არ არის. სამეურნეო საქმიანობები ძირითადად პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს. კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრების პერიმეტრზე მდებარეობს სამ ათეულზე მეტი სოფელი (ხიდმაღალა, გრიგოლეთი, სუფსა, საგვიჩიო, საჭოჭუო, ყულევი, გაღმა ქარიატა, დღვაბა, ცვანე, ერგეტა და სხვა), აგრეთვე მუნიციპალიტეტები: ფოთი, სენაკი, ხობი, აბაშა, ზუგდიდი, ლანჩხუთი. ზემოთ აღნიშნული დასახლებული პუნქტები თავის მხრივ გავლენას ახდენენ ეროვნულ პარკზე. პალიასტომის ტბა და მისი შემოგარენის ჰაბიტატები ადგილობრივი მოსახლეობისთვის განსაკუთრებული ეკოლოგიური და ეკონომიკური ღირებულების მქონე ობიექტს წარმოადგენს. პალიასტომის ტბის, როგორც „ლივინგ ლეიქ“ სისტემის წევრი ტბისათვის მთავარ აქტივობებს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სოციალური პროექტების განხორციელება. ზრუნვა ბიოლოგიური რესურსების (თევზჭერა, ნადირობა, ტყის ჭრა და ძოვება) მდგრად გამოყენებაზე. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე თევზის რეწვა ხდება ძირითადად პალიასტომის ტბასა და შავი ზღვის აკვატორიაში. ახლო წარსულში პალიასტომის ტბა, საქართველოს შიდა წყალსატევებისაგან გამოირჩეოდა, როგორც დაჭერილი თევზების საერთო მოცულობით, ასევე რეწვის მაღალი პროდუქტიულობითა და რენტაბელობით. პალიასტომის ტბის სარეწაო თევზპროდუქტიულობა XX საუკუნის 30 -იან წლებში აღწევდა 100კგ/ჰა. კიდევ უფრო მაღალი იყო თევზპროდუქტიულობის მაჩვენებელი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ტბაში კეფალის მოპოვება აღწევდა 300 კგ-ზე მეტს. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული ტბის თევზპროდუქტიულობა მკვეთრად შემცირდა. დღევანდელი მონაცემების მიხედვით ტბის

იქტიოფაუნაში კეფალს, კარჩხანას და ფარგას გაბატონებული ადგილი უჭირავს. ეროვნულ პარკში წარმოდგენილია ის უბნები/სავარგულები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს ან შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა მიზნებისათვის, როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ტყე, მდელოები, ტბები, მდინარეები და ზღვის აკვატორია. თუმცა აღნიშნული სავარგულების რესურსული პოტენციალი სრულად არ არის შესწავლილი. ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების (მიწის, ტყის, ტორფის, და სხვა) ათვისება საბჭოთა პერიოდში საკმაოდ უსისტემო იყო, ძირითადად სოფლის და სატყეო მეურნეობა, წარმოებდა თევზჭერა, რომელსაც სამრეწველო ექსპლოატაციის სახე ჰქონდა. მოსახლეობა ოდითგანვე საკვებად და სამკურნალოდ იყენებს ზოგიერთი მერქნულ და არამერქნულ რუსერსს. საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ იძლევა მხოლოდ უფლებას, მაგრამ არა ვალდებულებას, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტომ ითანამშრომლოს ადგილობრივ მოსახლეობასთან დაცული ტერიტორიების მართვის საკითხებში. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს თანამშრომლობის კონკრეტულ მექანიზმებსა და პროცედურებს. ზოგიერთ დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები. სასურველია ასეთი სოციალური პროექტების ფართოდ გამოყენება კოლხეთის ეროვნული პარკის მიმდებარე ადგილობრივი მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისა და ჩართულობის წახალისების მიზნით.

მუხლი 24. ეკოსისტემური სერვისები

1. მომმარაგებელი სერვისები. კოლხეთის ეროვნული პარკის ჭარბტენიანი ჰაბიტატების მომმარაგებელ სერვისებს წარმოადგენს: საკვები რესურსები (მცენარე, ხილი, კენკრა, თევზი, ფრინველი და სხვ.) ადამიანისა და ცხოველებისათვის. ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით და ხე-ტყით (როგორც სათბობი და სამშენებლო მასალა) მომარაგება. სამკურნალო დანიშნულების მქონე გენეტიკური რესურსები და მედიცინაში გამოყენება.

2. მარეგულირებელი სერვისები. კოლხეთის ეროვნული პარკის ჭარბტენიანი ჰაბიტატები მნიშვნელოვან გარემოსდაცვითი ღირებულების მქონე ეკოსისტემურ სერვისებს აყალიბებენ, როგორიცაა: კლიმატისა და ჰიდროლოგიური რეჟიმის რეგულაცია, ბუნებრივი საფრთხეების (დატბორვა) თავიდან აცილება, წყლის გამწმენდი ფუნქცია.

ტორფნარებს, იმ უნიკალური თვისების გამო, რომელიც გამოიხატება ნახშირბადის აკუმულაციაში, განსაკუთრებული როლი ენიჭება როგორც კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ეკოსისტემებს. ტორფნარების კონსერვაცია ეკონომიკურად ეფექტურია სათბური გაზების ემისიის შესამცირებლად. გამოთვლილია, რომ ბუნებრივი სახით ტორფნარების კონსერვაცია და აღდგენა შეამცირებს ოთხიდან 1.5 ტონამდე ნახშირორჟანგის ემისიას წელიწადში ჰექტარზე. რამსარის კონვენცია ხაზგასმით აღიარებს ტორფნარების მნიშვნელობას სათბური გაზების რეგულაციაში. რამსარის კონვენციით დაცული საერთაშორისო ღირებულების მქონე ჭარბტენიანი ჰაბიტატების საუკეთესო მენეჯმენტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სათბური გაზების რეგულაციაში.

კლიმატსა და ტორფნარებს შორის ორმხრივი დამოკიდებულებაა: კოლხეთის კლიმატი რეაგირებს ტორფნარებზე და თვით ტორფნარები კი ხელს უწყობენ კოლხეთის კლიმატის რეგულაციას. ტორფნარებში დაგროვილი წყლის დიდი რაოდენობა კოლხეთის კლიმატს აბალანსებს. თბილ და მშრალ ამინდში წყლის მუდმივი აორთქლების გამო სფაგნუმიანი ტორფნარები ერთგვარ გამაგრილებელ მოწყობილობას წარმოადგენენ.

3. კოლხეთის ტორფნარებისა და ტყეების კლიმატის მარეგულირებელი ფუნქცია მიწათსარგებლობასთანაა დაკავშირებელი. განსაკუთრებით, დრენაჟი და სასოფლო-

სამეურნეო საქმიანობები, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებენ ნახშირბადის ბალანსსა და ემისიაზე. ტორფნარების მიმდებარე ტერიტორიების მიწათსარგებლობა არა მხოლოდ ტორფნარების ტიპით განისაზღვრება, არამედ მიგვითითებს, თუ როგორი უნდა იყოს მიწათსარგებლობა, რომელიც მკაცრად იქნება დამოკიდებული კლიმატზე. გასულ საუკუნეში კოლხეთის სფაგნუმიანი ტორფნარებიდან ტორფის მოპოვებამ და ტორფნარი ტყეების გაჩეხვამ უარყოფითად იმოქმედა კოლხეთის ეკონომიკასა და კლიმატზე, ხელი შეუწყო ნახშირბადის ემისიას კოლხეთში. კოლხეთის სფაგნუმიან ტორფნარებს დამახასიათებელი მცენარეულობისა და ფაშარი ღრუბლისებური აგებულებისა გამო უნარი აქვთ ტორფში წყლის დიდი რაოდენობის შეწოვისა და შენახვისა. ტორფნარებზე დომინანტ სფაგნუმის სახეობებს თავის წონასთან შედარებით 25-ჯერ მეტი რაოდენობის წყლის შეწოვის უნარი გააჩნიათ. წყლის გაცემა კი თანდათანობით ხდება ტორფის ზედა ფენების ზეწოლის შედეგად, რაც წყლის რეზერვუარის ეფექტს იძლევა. ამ თვისებიდან გამომდინარე, ტორფნარებს უდიდესი როლი მიუძღვით კოლხეთის დაბლობის ჰიდროლოგიური რეჟიმის რეგულაციასა და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვის თავიდან აცილებაში.

4. სფაგნუმიან ტორფნარებს უნარი აქვთ როგორც ზედაპირული, ისე გრუნტული წყლებიდან შეისრუტონ ჭარბი საკვები ნივთიერებები და დამაჭუჭყიანებლები, შეინახონ და მუდმივად განათავსონ ისინი განამარხებული ტორფის ფენებში. ამით ისინი შესანიშნავ ფილტრატორებს წარმოადგენენ. ეს ნივთიერებები გროვდება ტორფის დანალექ მზარდ ფენებში არა მხოლოდ ნახშირბადის, არამედ სხვა საკვები ნივთიერებების სახით, როგორიცაა აზოტისა და ფოსფორის ნაერთები, მიკროელემენტები, ტყვია, მარგანეცი და სხვა დამბინძურებლები. ამ ბუნებრივი თვისებების გამო ტორფნარები არეგულირებენ საკვები ნივთიერებების ბალანსს და უზრუნველყოფენ წყლის ხარისხის სისუფთავეს. ამიტომ მას „ლანდშაფტის თირკმლებს“ უწოდებენ. დამბინძურებლებს იტოვებენ ტორფის ფენებში და სუფთა წყალი ჩაედინება ზღვაში, ტბებსა და მდინარეებში.

5. წლების განმავლობაში იმნათის სფაგნუმიანი ტორფნარი და შემოგარენი ტყე პალიასტომის ტბისათვის ბუნებრივ ფილტრს წარმოადგენდა. ისინი იკავებდნენ ჭარბი რაოდენობით წყალს და წყლის დრენაჟის ბუნებრივი რეჟიმი მიმდინარეობდა. ამიტომაც წყალდიდობების რისკი და ზედაპირის ეროზიული პროცესები არ მიმდინარეობდა, ან ძალიან სუსტად იყო გამოხატული. პალიასტომის ტბა დაცული იყო მავნე ბიოლოგიური და ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებისგან. შემოგარენი ტყის და ტორფნარის ფილტრაციული უნარის გამო, იგი იკვებებოდა სუფთა წყლით. გასულ საუკუნეში ტყის ჩეხვამ და ტორფის მოპოვებამ ტყესა და ტორფნარს ფილტრატორის უნარი წაართვა. ამიტომაც მდინარეებმა და თვით პალიასტომმა მიიღო უკვე ბიოლოგიურად და ქიმიურად დაბინძურებული წყალი. მტკნარი წყლის რეგულაცია. ეროვნული პარკში არსებული ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები მტკნარი წყლის მარაგს წარმოადგენს.

6. ჰაბიტატის სერვისები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს სერვისები, რომელიც ჰაბიტატისა და სახეობათა მრავალფეროვნების ველური სახით შენარჩუნებას გულისხმობს. კოლხეთის ეროვნულ პარკში ბუნებრივი, ხელუხლებელი ჰაბიტატების კონსერვაციით დაცული და შენარჩუნებულია:

ა) კოლხეთის რეფუგიუმისათვის დამახასიათებელი ფლორისა და ფაუნის რელიქტური (კაინოზიური) და ენდემური სახეობები;

ბ) რამსარის კონვენციის, როგორც წყალმცურავი და მიგრირებადი ფრინველებისათვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები, როგორც ჰაბიტატი, რომელსაც გადამწყვეტი როლი უჭირავს ფაუნის მრავალი სახეობისათვის, სადაც ისინი სასიცოცხლო ციკლის მნიშვნელოვან ნაწილს გადიან.

7. კულტურული სერვისები. კოლხეთის ეროვნული პარკის მსოფლიო უნიკალურ ეკოსისტემებს განსაკუთრებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღირებულებები გააჩნია. არქეოლოგიური და ეკოტურისტული სერვისების მხრივ ხაზგასმით უნდა გამოიყოს ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული ანტიკური და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, ეკოტურიზმის ისეთი სახეები, როგორიცაა: სამეცნიერო ტურიზმი, ფრინველებზე დაკვირვება, სამოყვარულეო თევზჭერა, ნავით გასეირნება.

თავი III

კოლხეთის ეროვნული პარკის, კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა და კაცობურის აღკვეთილის გრძელვადიანი მიზნები

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

მუხლი 25. კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ჭარბტენიანი ჰაბიტატებისათვის დამახასიათებელი ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებასთან დაკავშირებული მიზნები

1. კოლხეთის ეროვნული პარკი და კაცობურის აღკვეთილი ბუნებრივად, ადამიანის უმნიშვნელო ჩარევით ვითარდება. აღდგენილია წლების წინ გაჩეხილი რელიქტური კოლხური ტყეები.
2. შენარჩუნებულია კოლხეთის ჭარბტენიანი ჰაბიტატებისათვის დამახასიათებელი ყველა ეკოსისტემური სერვისი.

მუხლი 26. ჰაბიტატების და საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებული მიზნები

1. კოლხეთის ეროვნული პარკის გლობალური ღირებულის მქონე ჰაბიტატები: ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები, სფაგნუმიანი ტორფნარები და რელიქტური ტყეები ფლორისა და ფაუნის გლობალური სტატუსის მქონე, კავკასიისა და საქართველოს წითელი ნუსხის, რელიქტური და ენდემური სახეობები მკაცრად არის დაცული და შენარჩუნებული.
2. მკაცრად არის დაცული რამსარის კონვენციის ჭარბტენიანი ტერიტორიები.
3. წლების წინ დარღვეული ჰიდროლოგიური რეჟიმი და დეგრადირებული ჰაბიტატები - ტყე და ტორფნარი აღდგენილია და მიახლოებულია მათ ბუნებრივ მდგომარეობას.
4. ინვაზიური და მავნებელი სახეობების რიცხოვნობა მნიშვნელოვნად შემცირებულია.

მუხლი 27. კაცობურის აღკვეთილში სამონადირეო და სათევზე მეურნეობასთან დაკავშირებული მიზნები

1. კაცობურის აღკვეთილში მიმდინარეობს კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი და/ან სახეცვლილი ჭარბტენიანი რელიქტური ტყეების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით საქართველოს "წითელ ნუსხაში" შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება.
2. კაცობურის აღკვეთილში გაბატონებული მერქნიანი ინვაზიური სახეობები - გლედიჩია და ამორფა ჩანაცვლებულია კოლხეთის ტყეებისათვის დამახასიათებელი მერქნიანი სახეობებით: კოლხური მუხა, ლაფანი, კოლხური ბზა, რცხილა, ნეკერჩხალი, შიშველი თელადუმა და სხვა.
3. აღდგენილია თევზმეურნეობისათვის ტბორი.
4. კაცობურის აღკვეთილის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირადი მოხმარებისათვის სარგებლობს ტყის არამერქნული და მერქნული რესურსებით, შესაძლებელია ძოვება, თიბვა (ტყით დაუფარავ ფართობებზე), საქონლის გადარეკვა და სამოყვარულო თევზჭერა.

მუხლი 28. პალიასტომის ტბის აღდგენა/გაჯანსაღებასთან დაკავშირებული მიზნები

1. შემუშავებულია პალიასტომის ტბის აღდგენა-გაჯანსაღების გრძელვადიანი გეგმა.

2. გაუმჯობესებულია პალიასტომის ტბის ეკოლოგიური მდგომარეობა, რაც ტბაში წყლის დონის მომატებასა და ევტროფიკაციის შემცირებაში გამოიხატება.

მუხლი 29. ბუნებრივი რესურსების მდგრად სარგებლობასთან დაკავშირებული მიზნები

დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტების საფუძველზე შემცირებულია მოთხოვნა ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე. ეროვნული პარკი ხელს უწყობს მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობას, მათთვის უზრუნველყოფილია ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობა.

მუხლი 30. სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები

1. ადგილობრივი მოსახლეობა აცნობიერებს დაცული ტერიტორიების ჭარბტენიან ჰაბიტატებთან დაკავშირებულ ყველა ეკოსისტემურ სერვისს;

2. განვითარებულია ჭარბწყლიან გარემოსთან ადაპტირებული სოფლის მეურნეობა და მიმდინარეობს კომბინირებული კონსერვაციული, სოციალური და ეკონომიკური პროექტები და გაუმჯობესებულია ადგილობრივი მოსახლოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

მუხლი 31. ეკოგანათლებასა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული მიზნები

1. კოლხეთის ეროვნული პარკი და კაცობურის აღკვეთილი მნიშვნელოვან ეკოსაგანმანათლებლო არეალს წარმოადგენს.

2. ადგილობრივი მოსახლეობა აცნობიერებს კოლხეთის ეროვნული პარკის მნიშვნელობას ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. გაზრდილია საზოგადოების პასუხისმგებლობა და შეცვლილია დამოკიდებულება დადებითისკენ, ზრუნავს მის დაცვა/შენარჩუნებაზე.

მუხლი 32. მეცნიერებასა და განათლებასთან დაკავშირებული მიზნები

1. მჭიდრო თანამშრომლობაა დამყარებული ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო სამეცნიერო დაწესებულებებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან.

2. შექმნილია ბიომრავალფეროვნების და სამეცნიერო კვლევების მონაცემთა ბაზა.

3. საკვანძო და ქოლგა სახეობებზე მიმდინარეობს უწყვეტი კვლევა-მონიტორინგი თანამედროვე მეთოდებით.

მუხლი 33. ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები

1. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ინტეგრირებულია ბუნებრივ-კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ტურისტული პროდუქტი.

2. კოლხეთის ეროვნული პარკი წარმოადგენს ადგილს, სადაც ვიზიტორებს შეუძლიათ დატკბნენ შთამბეჭდავი ჭარბტენიანი ლანდშაფტით, ველური ბუნებით. ვიზიტორებისთვის უზრუნველყოფილია სუფთა და უსაფრთხო გარემო.

3. წარმატებით ვითარდება ბუნების დაცვაზე ორიენტირებული მდგრადი ტურიზმი. დაცული ტერიტორია ქმნის შემოსავლის ალტერნატიულ წყაროს როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ეროვნული პარკისათვის.

4. მჭიდრო თანამშრომლობაა დამყარებული ტურიზმის სექტორში ჩართულ ორგანიზაციებთან.

მუხლი 34. ადმინისტრაციის განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები

1. ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია კვალიფიციური პერსონალით, ფინანსური და ტექნიკური რესურსით, რაც საშუალებას იძლევა კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ეფექტური მართვისთვის.

2. ტერიტორიულ ადმინისტრაციასა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს შორის მიღწეულია მჭიდრო თანამშრომლობა, რაც ხელს უწყობს დაცული ტერიტორიების თანამმართველობაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, დაცული ტერიტორიების ეფექტურ მმართველობას და მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისა და დაცული ტერიტორიების ჰარმონიულ თანაარსებობას.

თავი IV

„კოლხეთის ეროვნული პარკის, კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა და კაცობურის აღკვეთილის სიტუაციური ანალიზი“;

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

მუხლი 35. ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია და მდგრადი სარგებლობა

1. კოლხეთის ეროვნული პარკი მოიცავს ლანჩხუთის, სენაკის, ხობის, აბაშისა და ზუგდიდის უბნებს. მიმდებარე მოსახლეობა სარგებლობს დაცულ ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი რესურსებით. ტერიტორიის ასეთი განფენილობა და დანაწევრიანება პრობლემებს ქმნის ბუნებრივი რესურსების დაცვის მხრივ. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას ბუნებრივი რესურსების დაცვასთან დაკავშირებით აქვს ძლიერი მხარეები და გააჩნია შემდეგი მიღწევები ბოლო 5 წლის განმავლობაში:

ა)კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის დაცვის განყოფილებას ხელმძღვანელობს დაცვის განყოფილების უფროსი. საშტატო ერთეულით გათვალისწინებულია 6 უფროსი რეინჯერი, 32 რეინჯერი და ბუნებრივი რესურსების მართვის 2 უფროსი სპეციალისტი;

ბ) ადმინისტრაცია აღჭურვილია 4 პიკაპის ტიპის, 3 Suzuki Jimney 4x4-ის ტიპის მანქანით, 5 საპატრულო კატერითა და 15 ერთეული ველოსიპედით, ასევე 4 ცხენით;

გ) ადმინისტრაციას გააჩნია 4 მცირე ზომის მოტორიანი ნავი, 3 პანტონი, 1 სკუტერი, 1 კატამარანი;

დ) დამონტაჟებულია წყლის 7 ხერგილი მდ. ფიჩორზე (2 ცალი), მდ. ჭურიაზე (2 ცალი), პატარა პალიასტომისა და მდ. გურინკას შესართავებზე (2 ცალი), ციას არხზე (1). სახმელეთო 6 ხერგილი - ხობის უბანში (3 ცალი) და კოლხეთის უბანში (3 ცალი);

ე) დამონტაჟებულია რკინის კონსტრუქციის 40 ერთეული საზღვრის მანიშნებელი;

ვ) რეინჯერთა საგუშაგოები (სულ 5) განთავსებულია ხობის, კოლხეთის, სენაკისა და კაცობურის უბნებში;

ზ) რეინჯერები აღჭურვილი არიან სათანადო ინვენტარით (ცეცხლსასროლი იარაღი, დანა, ფანარი, ფოტოაპარატი, საველე ზურგჩანთა, ჭოგრიტი, GPS, უნიფორმა, და სხვა);

თ) ადმინისტრაციის თანამშრომლებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია სხვადასხვა მიმართულებით;

ი) დაცულ ტერიტორიაზე მუდმივად მიმდინარეობს:

ი.ა) ფოტოხაფანგებით ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი;

ი.ბ) პატრულირება.

3. ბუნებრივი რესურსების დაცვასა და ბიომრავალფეროვნებაზე არსებული საფრთხეები კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ტერიტორიის ჰაბიტატებისა და სახეობათა ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედ საფრთხეებს წარმოადგენს:

ა) დეგრადირებული კოლხური ტყე - წარსულში ტყის არასწორმა მართვამ, დრენაჟმა და მელიორაციულმა პროცესებმა, რომელსაც დაერთო მოსახლეობის ძალზე მძიმე სოციალ-ეკონომიკური პირობები, თითქმის გაანადგურა კოლხური ტყის შემქმნელი მერქნიანი სახეობები: კოლხური მუხა, ლაფანი, ნეკერჩხალი, რცხილა, ლეღვი და ა.შ., რომლებიც დღეისათვის მხოლოდ მცირე კორომების სახით გვხვდება ეროვნული პარკის გარკვეულ მონაკვეთებზე. ამ სახეობათა ბუნებრივი განახლება აღარ მიმდინარეობს. არასოდეს შემუშავებულა *ex-situ* კონსერვაციული ღონისძიებები. დღეს მათ ადგილს იკავებს პიონერი მცენარე მურყანი (*Alnus glutinosa* subsp. *barbata)*, რომელიც, მონოდომინანტურ დაჯგუფებას ქმნის ერთ დროს ფართოდ გავრცელებული კოლხეთის დაბლობის პოლიდომინანტური ტყის ადგილზე. ამჟამად არსებული ტყე არ მოიცავს მაღალ, ასაკოვან ხეებს. წარმოდგენილია ახალგაზრდა მურყნარით, შესაბამისად, შემცირებულია ფრინველთა იმ სახეობების რაოდენობა, რომელთა ბუდობისათვისაც აუცილებელია მაღალი ხეების არსებობა, ასეთია მაგალითად, მცირე მყივანა არწივი.

ბ) ალტერნატიული საწვავის არარსებობის გამო მაღალია მოთხოვნა საშეშე მერქნაზე, რაც ქმნის კონფლიქტურ სიტუაციებს, განსაკუთრებით კი იმნათის უბანზე გურიის მხარეს, სადაც, ეროვნულ პარკს ესაზღვრება შემდეგი სოფლები: სუფსა, გრიგოლეთი, ხიდმაღალა, ტაბანეთი, ახალსოფელი, ნიგვზიანი, ჯურუყვეთი, ლესა, ჩიბათი, ეწერი, გვიმბალაური, ასევე თვით ქ. ლანჩხუთის ტერიტორია. თითოეულ სოფელს ესაჭიროება ყოველწლიურად 2500 მ^3 შეშა. ადგილობრივ მოსახლეობას სათბობის, საკვებისა თუ ფინანსური სარგებელის გამო უწევს ბუნებრივი რესურსების გამოყენება. ბუნებრივი რესურსების მოხმარებიდან გამოწვეული პრობლემების გამო ეროვნული პარკის ადმინისტრაცია დაარსებიდანვე ვერ ახერხებს იმნათის უბნის მართვას. უკანონო ჭრების ფაქტები გამოვლენილია ეროვნული პარკის სხვა უბნებზეც;

გ) სამელიორაციო სამუშაოები ეროვნული პარკის იმნათის ტორფნარის მიმდებარე ტერიტორიებზე - რაც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობისთვის ვარგისი არეალების დრენაჟს. სადრენაჟე არხების სიახლოვე და ბუფერული ზონების არარსეობა უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მსოფლიოს მეორე პერკოლაციური ტიპის - იმნათის ტორფნარზე. წყლის დონის ცვლილებები გამოიწვევს ტორფნარში მცენარეთა სხვა სახეობების გავრცელებას, რასაც სხვა ტიპის ტორფის ზრდა და აკუმულაცია მოყვება. ასეთი ტორფი შესაძლოა განსხვავებული ფორიანობით, გამჭოლუნარიანობითა და წყლის შეკავების განსხვავებული კოეფიციენტით ხასიათდებოდეს, რაც თავის მხრივ, ზემოქმედებას მოახდენს ტორფნარის ჰიდროლოგიურ მახასიათებლებზე. ამის შედეგად შესაძლებელია, სულ სხვა ტიპის და არა პერკოლაციური ტიპის ტორფნარი ჩამოყალიბდეს;

დ) ფლორის ინვაზიური სახეობები - კოლხეთის კლიმატიდან გამომდინარე, გაჩეხილი ტყეები და ჩამოყალიბებული მეორადი მდელოები ხელსაყრელი აღმოჩნდა ინვაზიური მცენარეების გამრავლებისათვის. ინვაზიური სახეობები კოლხეთის დაბლობზე 400-ზე მეტ სახეობას მოიცავს, რომელთა 90% აღმოსავლეთაზიურია. ამ მხრივ განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს აგრესიული ინვაზიური სახეობები - ამორფა და გლედიჩია, ბოლო წლებში მონოპოლია შექმნა კანადურმა ოქროწკეპლამ. ინვაზიური სახეობების (ამორფა და გლედიჩია) დომინანტობითა და ამ სახეობების ეროვნული პარკის სხვა ტერიტორიებზე პოტენციური გავრცელების საფრთხის საშიშროებით გამოირჩევა კაცობურის აღკვეთილი;

ე) მავნებელი მწერები და სოკოები. წლების განმავლობაში ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად შეიცვალა კოლხეთის კლიმატი. ის კონტრასტული გახდა, მაღალია ტემპერატურის მერყეობა დღე-ღამის განმავლობაში. ეს განსაკუთრებით ზაფხულობით, ივლის-აგვისტოში შეინიშნება, რის გამოც, კოლხეთის ტყეს ბოლო წლებში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული

ენტომო- და ფიტომავნებლები დაემატა, რამაც ტყეს კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენა. მავნებელი მწერებიდან აღსანიშნავია: მურყნის ფოთოლჭამია (*Agelastica alni),* ხეხილის წითელი ტკიპა (*Metateranychus ulmi).* მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი (*Tischeria complanella),* მუხის ფოთლის რწყილი (*Haltica saliceti),* ამერიკული თეთრი პეპელა *(Hypantrea cunea),* ბზის ალურა (*Cydalima perspectalis)*, ამ უკანასკნელმა საბოლოოდ გაანადგურა ბზის კორომები. კოლხური ბზა, როგორც კოლხეთის ენდემი და მესამეული პერიოდის რელიქტი 5-6 წლის წინ კომპაქტურად იყო გავრცელებული კოლხეთისა (სამცველო №2-3) და სენაკის (სამცველო 1,2,3) უბნებში. ბზით დაფარული ქვეტყის ფართობი შეადგენდა დაახლოებით 40 ჰა-ს. დღეს, კოლხური ბზის კორომები სრულიად განადგურებულია. 2017 წელს ფიტოპათოლოგიური გამოკვლევების შედეგად ტყეებში გამოვლინდა: ზამთრის მზომელა, ოქროკუდა, არაფარდა პარკიხვევია, განსაკუთრებული საფრთხე შეუქმნა კოლხეთის ტყეებს ერთ-ერთმა საშიშმა მავნებელმა - აზიურმა ფაროსანამ *(Halyomorpha halys);*

ვ) სოკოვანი დაავადებები - კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილში დაფიქსირებულია შემდეგი სოკოვანი დაავადებები: ბზის ხმობის პროცესის დაავადების გამომწვევია სოკო *Cylindrocladium buxicola,* რომელიც იწვევს ბზის გამანადგურებელ დაავადებას ,,ბზის სიდამწვრეს". 2016 წელს პრობლემა შეექმნა ლაფანსაც. ლაფანის კორომების 90%-ზე დაფიქსირდა სოკოვანი დაავადება ანთრაქნოსი, რომლის გამომწვევია სოკო *Gnomonia sp.,* მურყანზე გვხვდება ცრუ აბედა სოკო (*Phellinus igniarius),* რცხილაზე კი - მუხის აბედა სოკო (*Phellinus robustrus).*

4. ხანძრები - სფაგნუმიან ტორფნარებზე გვიანი შემოდგომიდან ადრე გაზაფხულამდე (მაშინ, როდესაც ისლის მიწისზედა ნაწილები ხმელია) პერიოდული ხანძრები უარყოფით ზეგავლენას ახდენენ მცენარეულ საფარზე, მობუდარ ფრინველებზე, ძუძუმწოვრებზე, ამფიბიებსა და ქვეწარმავლებზე.

5. ბრაკონიერობა და ნადირობა - განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ბიომრავალფეროვნებისათვის, განსაკუთრებით კი ფრინველთა მიგრაციის პერიოდში.

6. პალიასტომის ტბა წყლით საზრდოობს მის აუზში არსებული იმნათის ტორფნარიდან და შემოგარენი რელიქტური ტყეებიდან. ტბის აუზში არსებულ ჭარბტენიან ჰაბიტატებზე ანთროპოგენური ფაქტორის უარყოფით გავლენას ძალზე მძიმე შედეგი მოაქვს პალიასტომის ტბისათვის. ამას ემატება შავი ზღვის მარილიანი წყლის შეჭრა ტბაში მალთაყვის არხით, რამაც გამოიწვია ადრე მტკნარი ტბის საკმაოდ ძლიერი გამარილიანება და შესაბამისად, ტბის მტკნარწყლიანი ეკოსისტემის ძლიერი დეგრადაცია. პალიასტომის ტბის წყლის ზღვასთან არხით დაკავშირებამ (ძლიერი ზვირთცემის დროს, ზღვის წყლის ტბაში შედინების გამო), გამოიწვია პერიოდული დამლაშება 1-დან 14 პრომილამდე, დაიკლო პალიასტომის ტბის წყლის დონემ, გაძლიერებულია ევტროფიკაციის პროცესი. ამ ყველაფერმა გამოიწვია თევზების დაავადებები და ბოლო 3-4 წლის მანძილზე გამოვლინდა პალიასტომის თევზების მასიური სიკვდილიანობის ფაქტები. შეცვლილია იქთიოფაუნის სახეობრივი შემადგენლობა.

7. ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები - 1997 წლიდან დღემდე შავი ზღვის სანაპიროზე მშენებარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების გამო რამსარის კონვენციით დაცული ტერიტორიების საზღვარმა რამდენჯერმე ცვლილება განიცადა. თავდაპირველად რამსარის კონვენციით დაცული ტერიტორიის საერთო ფართობი 55,5 ათასი ჰა-ს შეადგენდა. 2001 წ. 20 ივნისის საქართველოს პარლამენტის დადგენილება N 1039 მიხედვით, რამსარ საიტს გამოაკლდა ყულევის მშენებლობისათვის გამოყოფილი 96.43 ჰა მიწის ნაკვეთი. ამ დადგენილებით გათვალისწინებული იყო ყულევის მშენებლობისათვის ამორიცხული მიწის ნაკვეთის საკომპენსაციო ფართობის შერჩევა.

8. პოტენციური საფრთხეები - პერიოდულად მუსირებს ტორფის მოპოვებაზე ნებართვის გაცემის მოთხოვნები კოლხეთის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიებსა და მის ფარგლებში. ადგილობრივი მესვეურებისა და უცხოელი ინვესტორების დაინტერესების სფეროში მოექცა იმნათის უნიკალური ტორფნარის ცენტრალური ნაწილი. აღნიშნული ტორფნარის დამუშავება ტორფის მოპოვების მიზნით გაანადგურებს არა მარტო ამ მსოფლიო მეორე პერკოლაციური ტორფნარს, არამედ გამოიწვევს პალიასტომის ტბის აუზში მდებარე ჭარბტენიანი ტერიტორიების ეკოლოგიური მახასიათებლების ცვლილებებს.
დისკუსიას აღარ ექვემდებარება ის, რომ საფრთხეები კოლხეთის ეროვნული პარკის ეკოსისტემებისადმი მომდინარეობდა და შეიძლება კვლავაც ინტენსიურად მომდინარეობდეს ადამიანის საქმიანობით ეროვნული პარკის საზღვრებს გარეთ. შესაბამისად, საქმიანობები დაცული ტერიტორიის მიმდებარედ და მათი პოტენციური ზემოქმედებები დაცულ ტერიტორიებზე მუდმივად უნდა ფიქსირდებოდეს და ფასდებოდეს შესაბამისად, განიხილებოდეს მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრულ საქმიანობებად. კერძოდ, ამჟამად ეროვნული პარკის საზღვრებთან არ არსებობს ჰიდროლოგიური ბუფერული ზონები და შესაბამისად არ არსებობს შესაბამისი რეგულაციები. ამდენად, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს კოლხეთის ეროვნული პარკის ეკოსისტემების გრძელვადიანი კონსერვაცია დაცული ტერიტორიების საზღვრებს "გარეთ" მიმდინარე საქმიანობებთან მიმართებაში.

მუხლი 36. ეკოტურიზმი

1. კოლხეთის ეროვნული პარკი ვიზიტორებს ტურისტულ მომსახურებას 2006 წლიდან სთავაზობს. 2006 წელს გაიხსნა ვიზიტორთა ცენტრი, რომელშიც განთავსებულია საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზები, 5 სასტუმრო ნომერი და კაფეტერია. ვიზიტორთა ცენტრი აღჭურვილია საინტერპრეტაციო დაფებით, რუკებითა და სარეკლამო-საინფორმაციო მასალით. ასევე ფუნქციონირებს ანაკლიის ტურისტული თავშესაფარი, რომელსაც გააჩნია 3 სასტუმრო ნომერი (12 ადგილით) და კაფეტერია.
2. ძირითადი ტურისტული სეზონი: მაისიდან - ოქტომბრამდეა. ადმინისტრაცია ვიზიტორებს სანაოსნო ტურებს სთავაზობს ტბა პალისტომზე, მდ. ფიჩორსა და მდ. ჭურიაზე. ძირითადი ტურისტული მარშრუტებია: “პალიასტომის ტბა“, „ პალიასტომი - ფიჩორი“ და „ჭურია“. ასევე შესაძლებელია სამოყვარულო თევზჭერა, ფრინველებზე დაკვირვება, ნავით და კაიკებით გასეირნება ოქროს ტბაზე და მდ.ჭურიაზე.
3. ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ 2007 წლიდან დაიწყო ეკოტურების ორგანიზება. 2007-2017 წლის მონაცემებზე დაყრდნობით კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა 90% - ქართველია. ვიზიტორთა ოთხი წლის სტატისტიკა ასე გამოიყურება: 2014 წელს ეროვნულ პარკს სტუმრობდა 17699 ვიზიტორი; 2015 წელს -13747 ვიზიტორი; 2016 წელს - 26816; კოლხეთის ეროვნულ პარკს 2017 წლის განმავლობაში 29 523 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 10%-ით არის გაზრდილი. აქედან, ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის 90%-ს (26 655 ვიზიტორი), ხოლო უცხოელი ვიზიტორების - 10%-ს (2 868 ვიზიტორი). 2017 წლის განმავლობაში ქართველ ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 6%-ით, უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა - 73%-ით.
კოლხეთის ეროვნულ პარკს 2017 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი უცხოელი ვიზიტორი ეწვია: რუსეთიდან - 22% (638 ვიზიტორი), გერმანიიდან - 14% (391 ვიზიტორი), აშშ-დან - 9% (250 ვიზიტორი), პოლონეთიდან - 6% (183 ვიზიტორი) ნიდერლანდებიდან - 6% (175 ვიზიტორი), სხვა ქვეყნებიდან - 43% (1231 ვიზიტორი). ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლების სტატისტიკა კი ასე გამოიყურება: 2014 წელს - 8 745 ლარი; 2015

წელს 24 705,5 ლარი, 2016 წელს 43 825,6 ლარი; 2017 წელს 52971,9 ლარი. 2017 წლის აგვისტოდან კოლხეთის ეროვნული პარკის მრავალფეროვან და საინტერესო მომსახურებებს ახალი შემოთავაზება დაემატა - „საკემპინგე ადგილი ავტომობილისთვის“. აღნიშნული სერვისის ღირებულება 15 ლარია. ფასი ვრცელდება ერთ (1) მანქანაზე ერთი (1) ღამის განმავლობაში ერთ (1) პერსონაზე, ხოლო ყოველ დამატებით ადამიანზე ღირებულებას ემატება ხუთი (5) ლარი.

4. 2012 წლიდან საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის მხარდაჭერით დაიწყო სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურის მოწყობა. 2014 წლიდან მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩაიდო ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის და ვიზიტორთა ცენტრის განვითარების კუთხით. რემონტი ჩაუტარდა ადმინისტრაციულ შენობას, გაუმჯობესდა საველე ინფრასტრუქტურა - ყველა უბანში აშენდა სარეინჯეროები (სულ 5 ერთეული), განახლდა საოფისე ტექნიკა, შეძენილ იქნა ავტომანქანები, განახლდა ანაკლიის ტურისტული თავშესაფარი, რეინჯერებისთვის შეძენილი იქნა საველე აღჭურვილობა (დანები, ფანრები, ჭოგრიტები, ფოტოაპარატები, უნიფორმები, ველოსიპედები, ზურგჩანთები);

5. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ყოველწლიურად ხორციელდება ეროვნული პარკის შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელება სხვადასხვა ორგანიზაციებში: ტურისტულ სააგენტოებში, საინფორმაციო ცენტრებში, აჭარის რეგიონის სასტუმროებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ა.შ.

6. ეროვნული პარკის ადმინისტრაცია მიერ ყოველწლიურად აწარმოებს ტურისტების გამოკითხვას სპეციალური კითხვარების საშუალებით. რომლის მიხედვითაც, გამოკითხულ ვიზიტორთა ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენს: საპიკნიკე ადგილების კეთილმოწყობა მდ.ფიჩორის ხეობაში, საკარვე ადგილების გამოყოფა და კეთილმოწყობა, გამართული წყალმცურავი სატრანსპორტო საშუალებები, საფეხმავლო ტურები ტორფნარებზე და მრავალფეროვანი სანაოსნო ტურები.

7. ეკოტურიზმსა და ვიზიტორთა მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და შესაძლებლობები:

ა) ტურისტული მარშრუტების და წყალმცურავი სატრანსპორტო საშუალებების სიმცირე. ამ ეტაპზე ყველაზე ხშირად ტურები ხორციელდება პალიასტომის ტბაზე, მდ.ფიჩორსა და ჭურიაზე. დღის განმავლობაში ეროვნულ პარკს შეუძლია მიიღოს მაქსიმუმ 100 ვიზიტორი. ინფრასტრუქტურის დამატების (ნავები, კატერები, პანტონი, წყლის ველოსიპედები, ტივები და სხვა) და ტურისტული მარშრუტების გამრავალფეროვნების შემთხვევაში შესაძლებელია ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა.

ბ) ალტერნატიული ტურების არარსებობა. ძლიერი ქარის შემთხვევაში, მზიან ამინდშიც კი, ტურის განხორციელება პალიასტომის ტბაზე შეუძლებელია. არ არსებობს ალტერნატიული ტურები.

გ) კადრების სიმცირე და უცხოენოვანი გიდების არარსებობა. ეროვნული პარკის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ვიზიტორთა სერვისების განვითარებასა და მართვაზე. ეროვნულ პარკს არ გააჩნია გიდების სერვისი. რეინჯერები წყალმცურავი საშუალებების მართვასთან ერთად პარალელურად ითავსებენ გიდის ფუნქციებს. საჭიროა უცხოენოვანი ადგილობრივი გიდების გადამზადება, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ვიზიტორთა კმაყოფილების დონის და მომსახურების სერვისის ასამაღლებლად. დამატებით შესაძლებელია სეზონური გიდების აყვანაც.

დ) სასტუმრო ნომრების არასაკმარისი რაოდენობა. სასურველია დაცული ტერიტორიების მიმდებარე მოსახლეობის ჩართვა ტურისტულ საქმიანობაში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური სარგებლის ზრდას.

ე) დაჯავშნის სისტემის არარსებობა. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას არ გააჩნია სასტუმრო ოთახების ელექტრონული დაჯავშნის სისტემა. ამჟამად დაჯავშნა ხორციელდება ტელეფონის ან ელფოსტის საშუალებით. მიზანშეწონილია ელექტრონული დაჯავშნის სისტემის დანერგვა.

ვ) არასაკმარისი ცნობადობა. საჭიროა ეროვნული პარკის და სერვისების რეკლამირების კონკრეტული გეგმის შემუშავება, საინფორმაციო მასალების განახლება, აქტიური თანამშრომლობა საქართველოში არსებულ ტურისტულ სააგენტოებთან და ტუროპერატორებთან.

ზ) დამატებითი სერვისების არარსებობა. საჭიროა ეროვნული პარკის მარშრუტების გამრავალფეროვნება და ინდივიდუალური მარშრუტების თემატური რუკების შემუშავება, მარშრუტებზე დამატებითი სერვისების დანერგვა, როგორიცაა, მაგალითად, აუდიოგიდებით სარგებლობის სერვისი, კომბინირებული ველომარშრუტი ჭურიაზე და სხვა. უნდა მოხდეს მარშრუტების მარკირება და საინფორმაციო დაფებისა და მანიშნებლების განთავსება.

თ) ნიშნულების და საინფორმაციო დაფების სიმცირე. საჭიროა ქალაქის ცენტრში და მთავარ ქუჩებზე (სადგურებთან) საინფორმაციო ნიშნულების განთავსება როგორც ფოთის ვიზიტორთა ცენტრის, ასევე ანაკლია-ჭურიის მიმართულებით.

ი) დამატებითი ტურისტული პროდუქტების არარსებობა. ეროვნული პარკის შემოსავლების გასაზრდელად საჭიროა ეროვნული პარკის, კოლხეთის, არგონავტების თემატიკით სუვენირების შექმნა და რეალიზაცია (მაგ. საფოსტო ბარათები, ჭილის კალათები, ჩანთები და სხვა)

კ) ვინაიდან კოლხეთის დაბლობს დიდი ისტორიული წარსული აქვს, საჭიროა მომზადდეს თემატური ტურები და მარშრუტები, რომელიც ინტეგრირებული იქნება კოლხეთის კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობასთან.

მუხლი 37. სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

1. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სამეცნიერო კვლევა - მონიტორინგი წარმოადგენს. ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი, ჯავახიშვილის უნივერსიტეტი, გერმანიის გრეიფსვალდის უნივერსიტეტი, ტორფნარების კონსერვაციის საერთაშორისო ჯგუფი და სხვ.) როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. 2005 წლიდან კოლხეთის ტორფნარებზე მრავალი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო შრომა შესრულდა როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევარების მიერ, როგორიცაა: კვლევები იმნათის ტორფნარზე; „კოლხეთის დაბლობის ცოცხალი სფაგნუმიანი ტორფნარების მცენარეული საფარის შესწავლა“; „სფაგნუმი, როგორც განახლებადი რესურსი - სფაგნუმის მოშენების პერსპექტივები კოლხეთში“, „გრიგოლეთის ტორფნარის მცენარეულობა“, „კოლხეთის როგორც დაბლობის, ასევე მაღალმთის ტორფნარების ტორფიანი პელოიდების კვლევა“, „კოლხეთის დაბლობის სფაგნუმის სახეობების სისტემატიკა, მორფოლოგია, ეკოლოგიური მახასიათებლები და მედიცინაში გამოყენების პერსპექტივები“; „ცენტრალური და სამხრეთ კოლხეთის სანაპირო ქვიშიანი დიუნების და მტკნარწყლიანი ტბორების მცენარეული საფარი და კონსერვაცია“, „კოლხეთის

დაბლობის რელიქტური კოლხური ტორფნარი ტყეების მცენარეული საფარი და აღდგენის პროექტების განხორციელების შესაძლებლობები“.

2. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის დაფინანსებით კვლევა და მონიტორინგის მხრივ მრავალი პროექტი განხორციელდა, მათ შორის:

ა) კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე ზუთხის პოპულაციის შეფასება. შემუშავდა ზუთხისებრთა თევზების აღდგენის კონკრეტული რეკომენდაციები და განსახორციელებელი დროული კონსერვაციული ქმედებები.

ბ) მობუდარი ფრინველების აღრიცხვა კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. დადგინდა საკვანძო ფრინველთა სახეობების სტატუსი, მომზადდა საფუძველი კონსერვაციის პროექტების შედგენისა და დანერგვისათვის.

გ) ყულევის ტერმინალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ფლორის შეფასება და ბოტანიკური ობიექტების კონსერვაციის გეგმის შემუშავება. გამოვლინდა მაღალი საკონსერვაციო ღირებულებების ცენოზების შემქმნელი სახეობები და მათი პოპულაციები. განხორციელდა მოწყვლადი და წითელი ნუსხის სახეობების რუკაზე დატანა.

დ) ცხოველთა სამყაროს (იქთიოლოგია) მონიტორინგის პროგრამა. ამ მიზნით კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დაყენებულ იქნა 11 მონიტორინგის სადგური. გამოვლინდა თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების ინდიკატორი სახეობები: მუცელფეხიანები, კიბოსნაირები, თევზები. მონიტორინგის პროგრამაში მოცემულია თევზების და სხვა ჰიდრობიონტების ჰაბიტატების ძირითადი ჰიდროფიზიკური და ჰიდროქიმიური პარამეტრები და მასალების აღებისა და დამუშავების მეთოდიკა: ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის, ბენთოფაუნის, იქთიოფაუნის ცალ-ცალკე კვლევის და მონიტორინგის წარმოების სიხშირე.

ე) შავი ზღვის ვეშაპისნაირთა მონიტორინგის პროგრამა. სახეობის მიხედვით დადგინდა მიგრაციის ადგილები, ვადები და მათი დინამიკა. შემუშავდება სახეობებისა და მათი ჰაბიტატების ეფექტური კონსერვაციული სტრატეგია. მოცემულია რეკომენდაციები ვეშაპისნაირთა თვალთვალის განვითარებისათვის კოლხეთის ეროვნული პარკის მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიაში.

ვ) პალიასტომის ტბის იქთიოლოგიური და ჰიდრობიოლოგიური კვლევა. იქთიოლოგიური და ჰიდრობიოლოგიური კვლევა მოიცავდა ყველა ჰიდრობიოლოგიურ ფრაქციას: მტკნარი წლის თევზების, მომლაშო წყლის და ზღვიურ ფორმებს, ბენთოფაუნას, ფიტოპლანქტონს, ზოოპლანქტონს, მაკროფიტებსა და მიკროფლორას. გაანალიზდა თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების ძირითადი ჰიდროფიზიკური და ჰიდროქიმიური პარამეტრები.

ზ) კოლხეთის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მცენარეული საფარის (მათ შორის მერქნიანი მცენარეების) აღდგენა-გაშენების შესაძლებლობების შესწავლა და დეგრადირებული უბნების აღდგენის შესაძლებლობების შეფასება და სამოქმედო გეგმის შემუშავება. გარკვეული იქნა ანთროპოგენური თუ სტიქიური ფაქტორების მოქმედებით გამოწვეული დესტრუქციული პროცესები. შემუშავდა შესაბამისი სარეაბილიტაციო ღონისძიებები მცენარეთა აღდგენა-შენარჩუნებისათვის.

თ) ძუძუმწოვრების მონიტორინგის პროგრამა კოლხეთის ეროვნული პარკისთვის. მოცემულია რეკომენდაციები კოლხეთის ეროვნულ პარკში გავრცელებული ძუძუმწოვრების: ევრაზიული წავის, შველის, ნუტრიის პოპულაციებისა და რიცხოვნობის მონიტორინგი. ასევე ადამიანი-მტაცებლის კონფლიქტის კვლევა/მონიტორინგის რეკომენდაციები.

ი) კოლხეთის ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტები რეინჯერებთან ერთად ყოველწლიურად ამუშავებენ „ბუნების მატიანეს“. ადმინისტრაციის მიერ მუდმივად მიმდინარეობს მსხვილი ძუძუმწოვრების, გადამფრენი და მობუდარი ფრინველების აღრიცხვა, არასისტემური მოვლენების (წყალდიდობები, ხანძრები და სხვ.) აღწერა და მონიტორინგი.

მუხლი 38. ბუნებრივი რესურსების გამოყენება

1. კოლხეთის ეროვნული პარკის ტყეები მოსახლეობისათვის საშეშე მერქანზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთ-ერთი წყაროა. ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ტრადიციული გამოყენების ზონაში აღრიცხული მთლიანი ტყის მარაგიდან გამომდინარე განსაზღვრავს მოცულობას, თუ სად უნდა გამოიყოს ტყეკაფები და რა რაოდენობით უნდა მოიჭრას ხე-ტყე ყოველწლიურად. ეროვნული პარკის მიმდებარე 33 სოფლის მოსახლეობა სათბობი შეშით მარაგდება ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონიდან და მის მიმდებარე სატყეო უბნების ტერიტორიებიდან. ძირითადად სათბობი შეშის მოპოვება ხდებოდა მდინარეების, არხების და სოფლებთან ახლოს მდებარე ტყის უბნებში. ერთ კომლზე საშუალოდ გაიცემა 5მ^3 საშეშე მერქანი. 1მ^3 ღირებულება 5 ლარს შეადგენს: 3 ლარი ბუნებრივი რესურსის მოსაკრებელი საბოლოოდ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე აისახება, 2 ლარი მომსახურების მოსაკრებელი კი - დაცული ტერიტორიების სააგენტოს საკუთარ შემოსავლებში. საჭიროა ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების და უპირველეს ყოვლისა მომხმარებლის მიერ დაცულ იქნეს "საქართველოს ტყის კოდექსის", "ტყეთსარგებლობის წესის" და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნები, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკანონო ჭრები.მოსახლეობაზე ბოლო 3 წლის მანძილზე გაცემული მერქნითი რესურსიდან შემოსავალმა 47690 ლარი შეადგინა. 2016 წელს ჩატარდა კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ტყის ინვენტარიზაცია. 2017 წლის ტყის ინვენტარიზაციის მასალების მიხედვით ტყის ფონდს უკავია ეროვნული პარკის ტერიტორიის 32,4% (29032,5 ჰა), მათ შორის ზუგდიდი - 894 ჰა, ლანჩხუთი - 9420, 5 ჰა, სენაკი- 3587 ჰა, კოლხეთი - 6906 ჰა, ხობი - 8226 ჰა. ტყეკაფების გამოყოფა და საშეშე მერქანის გაცემა წლების მიხედვით ასე ნაწილდება: 2011 წელს გაიცა - 3576 მ^3; 2012 წელს - 3796 მ^3; 2013 წელს - 3875 მ^3; 2014 წელს - 3020 მ^3; 2015 წელს - 4182 მ^3; 2016 წელს - 2336 მ^3; 2017 წელს - 1568 მ^3

2. სხვადასხვა ბუნებრივი რესურსების მოპოვება ხდება ტყიდან, მათ შორისაა ტყის სამკურნალო მცენარეები, კენკროვანი საკვები მცენარეები, როგორიცაა მაყვალი. მსგავსი მოპოვება დასაშვებია ტრადიციული გამოყენების ზონაში.

3. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აღრიცხულია 8 მწყემსი, მათგან 6 კოლხეთის უბანზეა, ხოლო 2 კი სენაკის უბანზე. თითოეულო მწყემსს ჰყავს 30-35 მდე მსხილფეხა რქოსანი პირუტყვი. მიმდებარე 500 მ ბუფერულ ზონაში აღრიცხულია 25 მწყემსი. თითოეულ მათგანს გააჩნია საცხოვრებელი კარავი, პირუტყვის სადგომი, 50-60-მდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. რეინჯერების მიერ მწყემსები გაფრთხილებულნი არიან, რომ ტყით დაფარულ ტერიტორიაზე პირუტყვის ძოვება აკრძალულია და რაიმე კანონდარღვევის შემთხვევაში მათ მიმართ გატარდება სამართალდარღვევის შესაბამისად კანონით გათვალისწინებული ქმედებები.

4. ადგილობრივი მოსახლეობა ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში სარგებლობს თევზის რესურსით (გარდა წითელი ნუსხის სახეობებისა).

5. ტრადიციული გამოყენების ზონაში განვითარებულია მეფუტკრეობა.

6. რეინჯერები აღრიცხავენ ნადირის მიერ შინაური პირუტყვის დაზიანებისა და დაღუპვის ფაქტებს. მგლის მიერ პირუტყვის დაზიანება ძირითადად ბუფერული ზონის სოფლებში ხდება. 2017 წლის მდგომარეობით 153 შემთხვევა დაფიქსირდა, გასული წლის ამავე

პერიოდთან შედარებით ყველგან საგრძნობლად გაიზარდა მგლის რიცხოვნობა (35-მდე ინდივიდი აღირიცხა უშუალოდ პარკის ტერიტორიაზე).

7. სტიქიური უბედურებები, დატბორვა, ხანძრები. ძლიერი წყალდიდობების დროს ხდება მდ. რიონის მარცხენა ნაპირის ლოკალურ უბნებზე დამბების გარეცხვა, რის შედეგადაც ნიაღვრები გადადის კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე და ტბორავს მდინარეების - რიონისა და ფიჩორის კალაპოტებს შორის არსებული ჭარბტენიანი ტყის მასივებს და ფიჩორის ტორფნარს. მდ. რიონის ორივე სანაპიროს და სოფლების - სირიაჩკონის, ზემო ჭალადიდის (მუხური), საგვიჩიოს, საღვამიჩაოს, საჭოჭუოს, საქორქიოს და შავღელეს მიმდებარე ნაპირების გასწვრივ, ხელოვნური დამბები და ბუნებრივი კალაპოტისპირა ზვინულები ლოკალურ უბნებზე სხვადასხვა ტემპით გარეცხვას განიცდის საშუალი სიძლიერის წყალდიდობის დროსაც კი. ამჟამად, განსაკუთრებით კრიტიკული ჰიდრომორფოლოგიური ვითარება შეიქმნა მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე _ სოფ. სირიაჩქონის მიდამოებში.

მუხლი 39. ეკოგანათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. კოლხეთის ეროვნული პარკი და კაცობურის აღკვეთილი დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის მნიშვნელოვან ეკოსაგანმანათლებლო რესურსს წარმოადგენს. ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის მართვაზე პასუხისმგებელია ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტი. ქმედებები, რომლებიც უკავშირდება ეკოგანათლებასა და საზოგადოებასთან ურთიერთობას, თანხმდება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. სააგენტოს მიზანს სხვადასხვა ასაკის მიზნობრივი ჯგუფებისთვის სპეციალური ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება წარმოადგენს.

2. ეკოსაგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

ა) საზოგადოების სხვადახვა სამიზნე ჯგუფის მიერ კოლხეთის ეროვნული პარკის მნიშვნელობისა და როლის გაცნობიერება, ქვეყნის, დღევანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის; ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის იდეის მხარდაჭერა;

ბ) საზოგადოების ფართო ფენებში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება;

გ) საზოგადოების ჩართულობის გაზრდა გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტაში;

დ) საზოგადოების ფართო ფენების თანადგომა დაცულ ტერიტორიებზე ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით;

ველური ბუნების, ჰაბიტატების და ეკოსისტემური სერვისების სრული გაგებისთვის ეკოსაგანმანათლებლო პროგრამა ინტერპრეტაციის სხვადასხვა ფორმას ითვალისწინებს. ხაზს უსვამს რა კოლხეთის ეროვნული პარკის როლსა და მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმიანობაში, პროგრამა მხარს უჭერს სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებს გარემოს დაცვის შესახებ, ასევე მიზნობრივ და საინტერესო ინფორმაციის გავრცელებას ვიზიტორთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის;

3. კოლხეთის ეროვნული პარკის და კაცობურის აღკვეთილის ადმინისტრაციის მიღწევები და ძლიერი მხარეები ეკოსგანამანათლებლო და საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმეში შემდეგია:

ა) კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ადგილობრივ სკოლებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის გზით უზრუნველყოფს ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და მათი დამოკიდებულების ცვლილების მიზნით.

ბ) ყოველწლიურად აქტიურად იმართება ღონისძიებები ეროვნული პარკის მიმდებარედ სკოლებთან, სხვადასხვა სახის ეკოლოგიური პრობლემის თემატიკით, როგორიცაა

ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედი საფრთხეები, დაბინძურება, ბრაკონიერობა, ხე-ტყის უკანონო ჭრა და ა.შ.;
გ) წლების განმავლობაში გაიზარდა მოსახლეობის ინფორმირებულობა კოლხეთის ეროვნული პარკის, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ;
დ) გარემოსდაცვითი ცნობირების ამაღლების მიზნით დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია ყოველწლიურად აწყობს ღონისძიებებს ე.წ. „მწვანე კალენდრის“ მიხედვით;
ე) ქ. ფოთსა და კოლხეთის ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლის საჯარო და კერძო სკოლებში ბოლო ოთხი წლის მანძილზე ჩატარებული ეკოსაგანამანათლებლო ღონისძიებები: 2014 წელს 52 ლექცია სემინარი და პრეზენტაცია, 16 ეკოაქცია, 13 ეკოტური; 2015 წელს 66 ლექცია სემინარი და პრეზენტაცია, 15 ეკოაქცია, 20 ეკოტური; 2016 წელს ჩატარდა 91 ლექცია-სემინარი და პრეზენტაცია, 24 ეკოაქცია (დასუფთავება და მწვანე კალენდარი), 12 ეკოტური; 2017 წლის მონაცემების მიხედვით: 6 საველე პრაქტიკული გაკვეთილი, 53 ლექცია-სემინარი და პრეზენტაცია, 22 ეკოაქცია (დასუფთავება და მწვანე კალენდარი), 20 ეკოტური. მოეწყო ოთხი ეკობანაკი.
ვ) ადმინისტრაცია მასპინძლობს სტუდენტურ ჯგუფებს და თანამშრომლობს ადგილობრივ მოსახლეობასთან. 2014-2017 წლებში კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილე სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგთა და სტუდენტთა სტატისტიკა ასეთია: 2014 წელს - 9341 ადამიანი, 2015 წელს - 7037, 2016 წელს - 5590, ხოლო 2017 წლის 12 თვის მონაცემების მიხედვით სულ 2017 წლის 12 თვის განმავლობაში ეროვნული პარკის მიერ ჩატარებულ ეკოღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 5820-მა მონაწილემ, მათ შორის პედაგოგი-150, მოსწავლე-4250, სტუდენტი-320, ადგილობრივი მოსახლე -1100.
ზ) ადმინისტრაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობით აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს, რათა გააცნოს მათ ეროვნული პარკის ადმინისტრაციის საქმიანობა, წესები და რეგულაციები.
თ) კოლხეთის ეროვნულ პარკს გააჩნია შესაფერისი ინფრასტრუქტურა მაღალი დონის ეკოსაგანამანათლებლო საქმიანობებისათვის. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას აქვს საინფორმაციო ცენტრი, საგამოფენო დარბაზი, კეთილმოწყობილი ეზო. ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობები წლის ყველა დროსაა შესაძლებელი. ეს ყველაფერი იდეალურ ბაზას ქმნის როგორც კამერალური, ისე ღია ცის ქვეშ სწავლებისთვის.
4. საზოგადოებასთან ურთიერთობა:
ა) საზოგადოებასთან ურთიერთობა კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რაც ხელს უწყობს ეროვნული პარკის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას, ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას და ცნობიერებას ეროვნულ პარკთან დაკავშირებით, რაც განაპირობებს საზოგადოების ჩართულობას დაცული ტერიტორიების განვითარებაში და ზრდის ადმინისტრაციის მენეჯმენტის ეფექტურობას;
ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობას ახორციელებს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ჩართულობით;
გ) საზოგადოებასთან ურთიერთობა ხორციელდება შემდეგი რესურსებით: საინფორმაციო მასალებით, დაცული ტერიტორიების ვებგვერდის www.apa.gov.ge, სოციალური ქსელის Facebook-ის, Instagram-ის, Twitter-ის და ასევე youtube-ის მეშვეობით;

დ) ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ მოსახლეობასთან; ეროვნული პარკისადმი არამეგობრულად განწყობილი მოსახლეობა აცნობიერებს კოლხეთის ეროვნული პარკის ბუნებრივ და კულტურულ ღირებულებებს.
ე) ცენტრალურ მედიასაშუალებებთან თანამშრომლობს დაცული ტერიტორიების სააგენტო. მჭიდრო თანამშრომლობაა რეგიონულ ტელეკომპანიებთან;
ვ) ძირითად მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენს მასმედია, ტუროპერატორები, ახალგაზრდები (სტუდენტების, მოსწავლეები), 25-60 წლამდე საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა.
ზ) 2016 წელს შეიქმნა კოლხეთის ეროვნული პარკის „მეგობართა ასოციაცია“, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან, უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებთან. ახორციელებს გარემოსდაცვით პროექტებს საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებისა და მოსახლეობის ჩართულობის მიზნით. მიზნით. 2017 წელს ასოციაციამ დაიწყო პროექტი „ნორჩი რეინჯერი“. პროექტის მიზანია მომავალი თაობების უფრო მეტად დაახლოება ბუნებასთან და პრაქტიკულ საქმიანობაში მათი ჩართვა. პროექტის საბოლოო შედეგი საინტერპრეტაციო-საგანმანათლებლო საქმიანობებში რეინჯერთა გადამზადებას და მათ ჩართვას წარმოადგენს. სამომავლოდ სოციალური პროექტების განხორციელებაც იგეგმება.

მუხლი 40. სოციალ-ეკონომიკური ასპექტები

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო მრეწველობის განვითარების დონე კოლხეთში შედარებით დაბალია. ახლო წარსულში მრეწველობის წარმმართველი დარგები მანქანათმშენებლობა (ფოთის გემთშემკეთებელი და ჰიდრომექანიზმების ქარხნები და სხვ.), მსუბუქი მრეწველობა (ფოთის სამკერვალო და ტრიკოტაჟის ფაბრიკები, სენაკის ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა და სხვ.) და კვების მრეწველობა (ფოთის წისქვილკომბინატი, ხორცის კომბინატი და სხვ.) იყო. მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა დაბალია, მათი უმეტესი ნაწილი იმყოფება უკიდურეს გაჭირვებაში და ამავდროულად მათ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება არ აქვთ.

მუხლი 41. ადმინისტრაციის მდგომარეობა

1. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას აქვს ძლიერი მხარეები და გააჩნია სერიოზული მიღწევები და წარმატებები. ძლიერი მხარეები. კოლხეთის ეროვნულ პარკს გააჩნია საკუთარი შემოსავლები ეკოტურისტული სერვისებიდან, რომელიც იმართება ცენტრალიზებულად დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ადმინისტრაციის ყოველდღიური საქმიანობების მართვაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციის დირექტორი.
2. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია მოიცავს ორ განყოფილებას: დაცვისა და ადმინისტრაციულ განყოფილებას:
ა) დაცვის განყოფილების თანამშრომლების ძირითადი მოვალეობებია: ტერიტორიის ფიზიკური დაცვა, პატრულირება და კანონაღსრულება ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ფარგლებში; კოლხეთის ეროვნული პარკის ფარგლებში არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენების მონიტორინგი; ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება; ბიომრავალფეროვნების მონიტორინგსა და კონსერვაციულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

ბ) ადმინისტრაციული განყოფილების ვალდებულებებში შედის: კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ადმინისტრაციის მუშაობის მატერიალურ-ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა, ვიზიტორთა მომსახურება. ადმინისტრაციის პერსონალის თითოეულ წევრს გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და უნარები თავისი ძირითადი მოვალეობების სრულყოფილად შესრულებისათვის, მაგრამ კადრების შენარჩუნებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად აუცილებელია მუდმივი ტრენინგები და სამუშაო პირობების გაუმჯობესება. ადმინისტრაციის ძირითადი ბიუჯეტი ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ადმინისტრაციის ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური დაფინანსება საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება. ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს ეროვნული პარკის მართვის ყველა მიმართულებით, როგორიცაა: დაცვა და პატრულირება, ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მონიტორინგი, დეგრადირებული ჰაბიტატების აღდენა, ეკოტურიზმი და რეკრეაცია, ეკოგანათლება, ცნობიერების ამაღლება და სოციალური კვლევები. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ მოსახლეობასთან და დაინტერესებულ მხარეებთან.

3. ეროვნული პარკის ადმინისტრაციას გააჩნია შემდეგი მიღწევები:

ა) გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა - განახლდა ადმინისტრაციული შენობა, ყველა უბანში აშენდა სარეინჯეროები (სულ 5 უბანი-5 სარეინჯერო);

ბ) განახლდა საოფისე ტექნიკა; შეძენილ იქნა კომპიუტერები, პრინტერები;

გ) შეძენილ იქნა ავტომანქანები;

დ) ჩატარდა ხელახალი დემარკაცია;

ე) გარემონტდა ტურისტული თავშესაფარი ჭურიაზე;

ვ) რეინჯერები აღიჭურვნენ საველე ეკიპირებით, მათ გადაეცათ საველე დანები, ფარნები, ჭოგრიტები, ფოტოაპარატები და უნიფორმები;

ზ) კაცობურის აღკვეთილისათვის დამზადდა 16 ერთეული ნიშნული.

ბოლო 5 წლის მონაცემების მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სტატისტიკა ასე გამოიყურება: 2013 წელს დაფიქსირებულია 94 სამართალდარღვევის ფაქტი, 2014 წელს - 38, 2015 წელს - 28, 2016 წელს - 62, 2017 წელს კი დაფიქსირებულია 64 სამართალდარღვევის ფაქტი.

თავი V

კოლხეთის ეროვნული პარკის შიდა ზონირება, კოლხეთის ეროვნული პარკის, კაცობურის აღკვეთილისა და კოლხეთის მრავამხრივი გამოყენების ტერიტორიის საზღვრებში დაშვებული საქმიანობები

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

მუხლი 42. კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრები, ფართობი და შიდა ზონირება

1. კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრები და ფართობი დადგენილია „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით.

2. კოლხეთის ეროვნული პარკის საერთო ფართობია 44 387 ჰა.

3. გარემოსდაცვითი ძირითადი მიზნების, რესურსებით სარგებლობისა და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გათვალისწინებით, კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ზონები:

ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა – 22322 ჰა;

ბ) ბუნების მართვადი დაცვის ზონა – 7701 ჰა;

გ) ტრადიციული გამოყენების ზონა – 14364 ჰა.

4. თითოეული ზონის საზღვრების გეოგრაფიული კოორდინატები მოცემულია დანართ № 14-ში, ხოლო ზონების რუკა - დანართ 2-ში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის დადგენილება №552 – ვებგვერდი, 08.12.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება №353 - ვებგვერდი, 21.10.2024წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

მუხლი 43. კოლხეთის ეროვნული პარკის შიდა ზონირების მიზანი და დასაბუთება

1. ბუნების მკაცრი დაცვის ზონა - ბუნების მკაცრი დაცვის ზონის შექმნის მიზანია მკაცრი დაცვის ზონის საზღვრებში ბუნებრივი ან ბუნებრივთან მიახლოებული სფაგნუმიანი ტორფნარების, ბუნებრივი ტბორების, რელიქტური ტყეების, ფლორისა და ფაუნის რელიქტური, ენდემური და გლობალური წითელი ნუსხის სახეობების დაცვა და მათი *in-situ* კონსერვაცია. ბუნების მკაცრი დაცვის ზონა წარმოადგენს მოზამთრე, მობუდარი და გადამფრენი ფრინველების ბუდობის, გამოზამთრებისა და დასვენების მნიშვნელოვან ტერიტორიას. ზონის ფართობი ჰაბიტატების თვითრეგულირებადი განვითარების და არსებული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საშუალებას იძლევა.

2. ბუნების მართვადი დაცვის ზონა - ბუნების მართვადი დაცვის ზონის შექმნის მიზანია ნაწილობრივ დარღვეული და სახეცვლილი ეკოსისტემების, ცალკეული ცენოზების ფუნქციონირების უნარის შენარჩუნება და მათი სახეობრივი მრავალფეროვნების აღდგენა ბუნებრივი პროცესების მეცნიერულად დასაბუთებული მართვის მეთოდების (მანიპულაციების) გამოყენებით. ამ ეკოსისტემების თვითრეგულირებად მდგომარეობაში ბუნებრივად განვითარების უნარის შენარჩუნებისათვის საჭიროა მათი დაცვა და მოვლა-პატრონობა. დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენა, აქ მობინადრე სახეობათა ოპტიმალური საარსებო პირობების შექმნა, მიგრირებადი ფრინველების გზების უწყვეტობის შენარჩუნება. ძლიერი ანთროპოგენური დატვირთვის შედეგად დეგრადირებული ჰაბიტატების ბუნებრივთან მიახლოებული სახით აღდგენა, რაც შესაძლებელია მკაცრი დაცვის რეჟიმის განხორციელებით. ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება მოხდება როგორც ბუნებრივი გზით, ისე სხვადასხვა ერთჯერადი პრაქტიკული ქმედებების განხორციელებით.

3. ტრადიციული გამოყენების ზონა - ტრადიციული გამოყენების ზონის შექმნის მიზანია განახლებადი ბუნებრივი რესურსებით კონტროლირებადი და მდგრადი სარგებლობა ეკოსისტემების დაცვისა და მონიტორინგის აუცილებელი განხორციელებით. ტრადიციული გამოყენების ზონა მოიცავს ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოსაპოვებლად.

მუხლი 44. კოლხეთის ეროვნული პარკის თითოეულ ზონაში დაშვებული საქმიანობების ჩამონათვალი

კოლხეთის ეროვნული პარკის:

ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა.ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;

ა.ბ) საგანმანათლებლო საქმიანობისა;

ა.გ) სტიქიური უბედურების, კატასტროფისა და საგანგებო მდგომარეობის დროს, სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის პერსონალის ავტომოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;

ა.დ) მონიტორინგის სამუშაოების წარმოებისა;

ა.ე) საკადასტრო სამუშაოების განხორციელებისა;

ა.ვ) ბუნების მკაცრი დაცვის ზონის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებისა, მათ შორის, დაცვის საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოწყობისა;
ა.ზ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილებისა;
ა.თ) საქართველოს ტერიტორიული ზღვის აკვატორიაში დაშვებულია თხევად საწვავზე მომუშავე წყალმცურავი საშუალებებით გადაადგილება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი დაწესებულების მიერ ან მათი თანხმობით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის რეჟიმისა და ნაოსნობის წესების დადგენის შესახებ დებულების“ შესაბამისად, კვლევების ჩატარების მიზნით;
ბ) ბუნების მართვადი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:
ბ.ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევებისა;
ბ.ბ) საგანმანათლებლო საქმიანობისა;
ბ.გ) ეკოტურიზმისა;
ბ.დ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებისა;
ბ.ე) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, ავტომოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;
ბ.ვ) მონიტორინგის სამუშაოების წარმოებისა;
ბ.ზ) საკადასტრო სამუშაოების განხორციელებისა;
ბ.თ) ბუნების მართვადი დაცვის ზონის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებისა;
ბ.ი) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილებისა;
ბ.კ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა;
ბ.ლ) საქართველოს ტერიტორიული ზღვის აკვატორიაში დაშვებულია თხევად საწვავზე მომუშავე წყალმცურავი საშუალებებით გადაადგილება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი დაწესებულების მიერ ან მათი თანხმობით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის რეჟიმისა და ნაოსნობის წესების დადგენის შესახებ დებულების“ შესაბამისად, კვლევების ჩატარების მიზნით;
გ) ტრადიციული გამოყენების ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:
გ.ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა;
გ.ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებული ფლორისა და ფაუნის დაცვის, მოვლისა და აღდგენისა;
გ.გ) ტერიტორიის ჰიდროლოგიური სისტემის დაცვისა და მონიტორინგისა;
გ.დ) ტყის ეკოსისტემების დაცვისა და აღდგენისა;
გ.ე) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;
გ.ვ) საგანმანათლებლო საქმიანობისა;
გ.ზ) ეკოტურიზმისა;
გ.თ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებისა;
გ.ი) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ავტომოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;
გ.კ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოებისა;

გ.ლ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელებისა;
გ.მ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილებისა;
გ.ნ) ვიზიტორთა ყოფნისა და გადაადგილებისა, მათ შორის, „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა;
გ.ო) მეფუტკრეობისა და სკების განთავსებისა;
გ.პ) დაცვის და ტურისტული საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოწყობისა;
გ.ჟ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 89-ე მუხლით განსაზღვრული სოციალური დანიშნულების ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 7 მ^3-მდე საშეშე მერქანი), ძოვებისა/თიბვისა (ტყით დაუფარავ ფართობებზე), საქონლის სატრანზიტო გადარეკვისა, თევზჭერისა (გარდა ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართ 11-ის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც დაშვებულია მხოლოდ სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა), საქართველოს ტყის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის დადგენილება №349 - ვებგვერდი, 15.07.2021 წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ივლისის დადგენილება №384 – ვებგვერდი, 27.07.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

მუხლი 45. კაცობურის აღკვეთილის სტატუსი, ფართობი, დაშვებული და აკრძალული საქმიანობები

1. კაცობურის აღკვეთილის საზღვრები, ფართობი და სტატუსი დადგენილია „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით.
2. კაცობურის აღკვეთილის ფართობი შეადგენს 270,8 ჰა-ს.
3. კაცობურის აღკვეთილის შექმნის მიზანია, ანთროპოგენური ფაქტორის ზეწოლის შემდეგ ჯერ კიდევ შემორჩენილი, ბუნებრივი მემკვიდრეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცენოზების - რელიქტური კოლხური ტყეების დაცვა, აღდგენა, კონსერვაცია, ეკოტურიზმის განვითარების მიზნით წარსულში არსებული სატბორე მეურნეობების აღდგენა. აღდგენის ზონის ტერიტორიაზე, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების (თევზჭერა, ძოვება, საშეშე მერქნის დამზადება) გათვალისწინებით რესურსების ტრადიციული და კონტროლირებადი გამოყენება.
4. კაცობურის აღკვეთილში დაშვებულია მხოლოდ:
ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;
ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა;
გ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;
დ) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;
ე) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;

ვ) კაცობურის აღკვეთილის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (კაცობურის აღკვეთილის ფიზიკური დაცვა);

ზ) მეფუტკრეობა და სკების განთავსება;

თ) სანერგის მოწყობა;

ი) ადგილობრივი თევზის სახეობების გათვალისწინებით სატბორე მეურნეობის აღდგენა;

კ) სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა;

ლ) მკაცრი კონტროლის პირობებში ცალკეული განახლებადი რესურსის მოხმარება;

მ) დაცვის და ტურისტული საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა და მოწყობა;

ნ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 89-ე მუხლით განსაზღვრული სოციალური დანიშნულების და სხვა ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობა (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 5 მ^3-მდე საშეშე მერქანი), ძოვება/თიბვა (ტყით დაუფარავ ფართობებზე), საქონლის სატრანზიტო გადარეკვა, საქართველოს ტყის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის დადგენილება №349 - ვებგვერდი, 15.07.2021 წ.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ივლისის დადგენილება №384 – ვებგვერდი, 27.07.2022წ.

მუხლი 45^1. კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის სტატუსი, ფართობი, დაშვებული და აკრძალული საქმიანობები

1. კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის საზღვრები, ფართობი და სტატუსი დადგენილია „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის 9^2 მუხლით.

2. კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ფართობი შეადგენს 593 ჰა-ს.

3. კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე დაშვებულია მხოლოდ:

ა) სამეცნიერო კვლევა;

ბ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

გ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი დაწესებულების მიერ ან მათი თანხმობით, სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით;

დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი დაწესებულების მიერ ან მათი თანხმობით, მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;

ე) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი დაწესებულების მიერ დაცვის რეჟიმის განხორციელებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;

ვ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი დაწესებულების მიერ ან მათი თანხმობით, თხევად საწვავზე მომუშავე წყალმცურავი საშუალებებით გადაადგილება, კვლევების ჩატარების მიზნით;

ზ) 500 ტონამდე ტვირთამწეობის თევზსაჭერი წყალმცურავი საშუალების გადაადგილება არანაკლებ 4 კვანძისა და არაუმეტეს 9 კვანძის სიჩქარით.

4. კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე მცურავი საშუალებებით გადაადგილება ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის რეჟიმისა და ნაოსნობის წესების დადგენის შესახებ დებულების“ შესაბამისად.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტი არ ზღუდავს კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფლებამოსილებების განხორციელებას.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №527 - ვებგვერდი, 09.11.2026წ.

თავი VI
მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

მუხლი 46. მენეჯმენტის გეგმის პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა

1. დაცული ტერიტორიების სააგენტო და კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და ქმედებების ორგანიზებაზე, მისი განხორციელების მონიტორინგსა და დასახული მიზნების მიღწევაზე.

2. სააგენტო უზრუნველყოფს მენეჯმენტის გეგმის გარკვეული ღონისძიებების განხორციელების პროცესში სხვა ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობას ან მათთან თანამშრომლობას.

3. მენეჯმენტის გეგმის განხორციელება საოპერაციო გეგმის საშუალებით ხორციელდება. საოპერაციო გეგმა შემუშავებულია სამწლიანი პერიოდისათვის, რომელიც განახლდება საჭიროებისამებრ და მოიცავს დეტალურ განსახორციელებელ ქმედებებს ყოველი ცალკეული წლის ქმედებებიდან გამომდინარე შემუშავებული ბიუჯეტის ჩათვლით.

მუხლი 47. მენეჯმენტის პროგრამები

1. სიტუაციური ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიმართულებები, რომელთა განვითარებაც უზრუნველყოფს მენეჯმენტის გეგმის მიზნების, აქტივობებისა და ღონისძიებათა პროგრამულ სტრუქტურას:

ა) დაცვა, პატრულირება და კანონაღსრულება;

ბ) ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობა და კონსერვაცია;

გ) კვლევა და მონიტორინგი;

დ) ეკოგანათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა;

ე) ეკოტურიზმი;

